


სპორტიელი

სპორტული ჟურნალი



რეალმა
სუპერთასი მოიგო!
რეალმა
რონალდო დაიკავა!
რეალი
სუპერგუნდია!





- 3** სოსო კოტორიძის კონკრეტული
**ქორდანიამ არჩევნები
ფიფაში მოიგო**

- 5** მამუკა კვანტალიანი
ჩივანიდან ჩივნიკამდე...

- 8** კობა ინასარიძე
**ბრაილიანი, როგორც
საქართველოში**

- 12** მამუკა კვანტალიანი
**უკ. სად წასულა
ევროპა!**

- 16** ტუტა სინარულიძე
გრივალდების ქვეყანა

- 18** ჩეჩიკოთა ლიგის
კალენდარი

- 20** ვიორგი ვაშაკიძე
**რა მოხდა
და რა არ მოხდა**

- 21** პაპუნა კელია
**ეკვდარი ბაბუა,
გადასარევი ბრად
პიტი და ორი კარიერა**

- 23** მიხეილ სურგულაძე
ჯუჯუს ამბები

- 24** ავთანდილ გურასაშვილი
**კელსინკის თამაშები
ეროვნულ, გლობალურ
და სელადობო პრიზებში**

14-15 გვერდი. რივალდო (მილანი, ბრაზილია)
REUTERS
I მადრიდის „რეალის“ კაპიტანი ფერნანდო
იერო სუპერთასით ხელში. REUTERS
III ირლანდია 2002. REUTERS
IV იტალია 2002. REUTERS



საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უშუალო
მოვალეობას თავს როგორ ართმევს, ამას ქვეყნის
ნაპრებისა და კლუბების შედეგებით უნდა ვიმსჯელოთ,
ხოლო დღედაღამის განახლებებში რა ვფიქრობ
— ამ ფოტოთი. ფოტოზე კი ფედერაციის ახალი ოფისია
აღბეჭდილი. მის გახსნაზე თვით უფას პრეზიდენტი,
ლენარტ იშკანსონი ბრძანდებოდა ჩამოსული.

<p>რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი რედაქტორის მოადგილე სოლომონ ბულიაშვილი ტექნიკური რედაქტორი რუსუდან დარსაგველიძე სტილისტი ცისანა ნიკოლაიშვილი ოპერატორი მამბა დობრაშვილი</p>	<p>მრჩემელთა საბჭო: ვანტანგ ზუიკაძე, მამუკა გუბელაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი, სოსო კოტორიძე, ზურაბ ფოცხვერია</p> <p>გასამი სარბიელის დაბეჭდვა</p>
<p>რეკლამა შურნალ «სარბიელი» — 93 16 08</p>	

61 უორლდანიამ არჩევნები ფიფაში მოიგო

ქართული სამართალი და ჯესტიშიაშვილი თამაშეაჩივრებ

ფიფას. იოზეფ ბლატერს
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის V საანგარიშო-საარჩევნო ყრილობამ მშვიდ, სამუშაო ვითარებაში ჩაიარა. ფედერაციის პრეზიდენტად ფიფას ნებსდების სრული დაცვით ხელახლა აირჩიეს მერაბ უორლანიამ.
მეჰმედ სპაჰო
თბილისი. 24 აგვისტო. 2002 წელი

სოსო კობორაძე

ალბათ, ასეთი შინაარსის დეკლარაციები მსოფლიო ფეხბურთის მთავარ ოფისში სფფ-ის ყრილობაზე დაკვირვებულად მოვლინებულმა ფიფას სადისციპლინო კომიტეტის წევრმა, ბოსნიელმა მეჰმედ სპაჰომ და ქართული ფეხბურთის თავაკციბისთვის გააღმასებულ ბრძოლას წერტილი დაუსვა. მაგრამ ერთია პატივცემული ბოსნიელის თვალით დანახული და შეფასებული ყრილობა, მეორე ის დამუხტული ვითარება და ვენებათაღელვა, წინასაარჩევნო პერიოდში მეტოქეთა ბანაკები ლამის სამკვდრო-სასიცოცხლოდ რომ წაჰკიდა ერთმანეთს. აქვე ისიც შევნიშნოთ, რომ ბოსნიელ სტუმარს ყრილობის მსვლელობისას საკუთარი თვალთ არ უხილავს „შერატონ მეტეხი პალასის“ ფოიეში მომხდარი ამბები, კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს სადამსრულებლო პოლიციის მცდელობა, დარბაზში შეეღწია და დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს განაჩენი აღესრულებინა.

ახლა ორიოდ სიტყვით იმაზეც ვთქვათ, რა ესაქმებოდათ სამართალდამცავებს ყრილობაზე. საამისოდ ჯერ წინასაარჩევნო კამპანიის პერიპეტეები უნდა გავისხენოთ. სფფ-ის უცხოეთთან ურთიერთობისა და ტრანსფერების კომიტეტების თავმჯდომარე დაავით პეტრიაშვილმა, რომელსაც იმხანად უეფას ბავშვთა და მოყვარულთა ფეხბურთის კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარის თანამდებობაც ეკავა, პრეზიდენტ უორლანასა და გენერალურ მდივანს ვალერი ჩოლარიას თავისი გადაწყვეტილება ამცნო — იგი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებდა. სულ მალე ისიც გაცხადდა, რომ პეტრიაშვილს მხარს უჭერდა ბიზნესმენთა ჯგუფი ცნობილი ოლიგარქის ბადრი პატარკაციშვილის თამაშობით. მის მიმართ სიმპათიას არც სახელისუფლო წრეებში მალავდნენ. უორლანია ასეთ დარტყმას ნამდვილად არ ელოდა. პეტრიაშვილის რეპუტაცია და პატარკაციშვილის ფული, საკმარისი მიზეზი იყო იმისა, რომ საპრეზიდენტო სავარძლის ყანყალი ეგრძნო და პეტრიაშვილი ანგარიშგასაწევ ძალად ჩათვალა.



მერაბ უორლანია


ბადრი პატარკაციშვილი

მოკლედ, საჭირო იყო მოქმედება და პრეზიდენტობის მოსურნეებიც საქმეს შეუღდნენ. არ დაგვაიწყდეს მესამე კანდიდატი ვაჟა ჩხაიძეც, რომელსაც, მართალია, გამარჯვებას თითქმის არავინ უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ მის არაორდინარულ ქმედებებს ბევრი უსიამოვნების მოტანა შეეძლო. ბევრი მტკიცება არ უნდა: არჩევნების დროს უმთავრესი იმ ხალხისთვის თავის მოწონებაა, რომელმაც უნდა ავირჩიოს, ანუ



ბადრი პატარკაციშვილი

საგარეო ურთიერთობების
მინისტრო



ხელახლა არჩეულ პრეზიდენტს ურუნალისტები შემოეხვივნენ



დავით პეტრიაშვილმა ჟორდანიათ
გამარჯვება ვაჟაკურად მიულოცა

რომელიც ყრილობის ხმოსანი დელეგატია. ფედერაციის აღმასკომის 2002 წლის 8 თებერვლის დადგენილებით, პრეზიდენტის არჩევის უფლება 61 დელეგატს ერგო. კეთილი და პატიოსანი, მიდი და იმუშავე, ეს 61 ხმოსანი დაარწმუნე, რომ სწორედ შენ ხარ პრეზიდენტობის ღირსი. ისინიც ავირჩევენ და უთავკაცე ქართულ ფეხბურთს ოთხი წელი.

მაგრამ... დავით პეტრიაშვილი ხმოსანთა სიას გაეცნო და აღმოაჩინა — ფიფას წესკანონით უმეტესობას არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა. კერძოდ, ფედერაციის აღმასკომის 17-იდან 14 წევრს, ვეტერან ფეხბურთელთა 5 დელეგატს და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს არჩევნებზე არაფერი ესაქმებოდა. ისინი კი ჟორდანიათ ბანაკის წევრებად ითვლებოდნენ და, ცხადია, ილია გამოსაცნობია, ვისაც დაუჭერდნენ მხარს.

პეტრიაშვილი სამოქალაქო სასამართლოს მიადგა. დიდებუ-ჩუღურეთის მოსამართლემ ნუნუ კვანტალიანმა სამართლიანად ცნო პრეზიდენტობის კანდიდატის სარჩელი.

ფედერაციამ საპასუხო ნაბიჯი გადადგა — ჩვენს საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევას ფიფა არ ვგაპატიებებს, საერთოდ მოგვიკვეთს საფეხბურთო ოჯახიდან და მერაბ ჟორდანია და ვალერი ჩოლარია შენევაში იოზეფ ბლატერთან გაემგზავრნენ.

„ქართული საქმე“ ფიფას ეროვნულ ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის ხელმძღვანელმა ვინსენ მონიემ შეისწავლა და თბილისის ისეთი დასკვნა გამოგზავნა, ჩვენში რომ იტყვიან, არც მწვადი დაწვა, არც შამფური.

ფიფას განაჩენი ასეთი იყო: ყრილობა აუცილებლად უნდა ჩატარდეს, თანაც 24 აგვისტოს, სფფ-ის წესდება კი მართლაც შესაცვლელია, ოღონდ ეს საქმე ყრილობის დასრულებიდან ექვს თვეში მოავგარეთო.


ერთი სიტყვით, ერთ მხარეს დავით პეტრიაშვილი „ქართული სამართლით“ ზურგ-

მომაგრებული, მეორე მხარეს მერაბ ჟორდანია ვინსენ მონიეს დასკვნით და ბლატერთან გადაღებული ფოტოთი. ასე მოვიდნენ კონკურენტები ყრილობამდე (ვაჟა ჩხაიძე ბრძოლას ორი დღით ადრე თავისი ნებით გამოეთიშა).

ზურგმომაგრებული კი ვთქვით, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილებას პეტრიაშვილის სასიკეთოდ რეალურად არაფერი შეუცვლია.

24 აგვისტოს „მერატონ მეტეხი პალასში“ 61 ხმოსანი დელეგატი იჯდა, სააღმსრულებლო პოლიციამ კი დარბაზში შეღწევა ვერ შეძლო. ჟორდანიათ იქაურობა ქაჯეთის ციხესავით გაემარებინა.

ასეთ პირობებში პეტრიაშვილს ვერც ბადრი პატარკაციშვილის ფულიანი ავტორიტეტი უშველიდა. მთრწილმა უძრავლესობამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სავარძელში კვლავ მერაბ ჟორდანია ჩასვა.



ყრილობას ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი უძღვებოდა

პრეზიდენტობის კანდიდატი დავით პეტრიაშვილი ყრილობის წინაშე სიტყვით წარსდგა



რივაშიდან რივაქედამდე...

წააგა, მოიგა, უაღაგო ერთია

მურაზ დოლონაძე-პეტილი



რამ შუა აღმართამდე თავქვე დაგორებას და უფსკრულიდან ამოფოფებებს სულ მცირე ორი წელიწადი დასჭირდება.

სანამ 2002 წლის 8 სექტემბრის თამაშზე გაიმბობდეთ, განვლილი ოთხი შესარჩევი ციკლის სადებიუტო თამაშები მოვიგონოთ. იმის გახსენება, როგორ იწყებდა საქართველოს ნაკრები შესარჩევ ეტაპებს, ამის გახსენება, ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება.

იოზეფ უენი აღვილი...

ბერესისთვის დაუვიწყარი და სანატრელი იყო ის დღე. 1994 წლის 7 სექტემბერს დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მოლდოვის ნაკრებს უმასპინძლა. საქართველო მოგებას ელოდა და ქადაგებდა. ვის დაჰკარგვოდა მოლდოვა, საბჭოეთის ხანაში იტაურ „ნისტრუს“ ჩვენი „დინამო“ ხომ მიწასთან ასწორებდა. თუმცა ფეხბურთმა სხვა გზით იარა და მწარე რეალობაც დაგვანახვა. მაშინდელმა გაკვეთილმა კიდევ დიდხანს ვერ გვაპოვნინა სწორი გზა. ნათქვამია, ჭკვიანი წარსულის შეცდომებზე სწავლობსო, დღეს ხომ ნაკრების თავკაცი ისევ ალექსანდრე ჩივაძეა.

1994 წლის 7 სექტემბრის საღამოს კი ქომაგი გულდათოუტული ტოვებდა „ერო-

ენულს“. ნაკრების კაპიტანი კახა ცხადაძე უღლოდ იჯდა მოედნის ერთ კუთხეში და თვალებიდან ცრემლი სდიოდა. თბილისში მოლდოვის გუნდი ხარობდა, ხოლო გააყვებული გულშემატკივარი გაჰკიოდა: „ეს თქვენი ჩივაძე...“

მაშინ ერს და ბერს რატომღაც ეგონა, რომ საქართველო ინგლისში ჩავიდოდა და იტაურ სტადიონებზე ძალებს მოსინჯავდა. ალექსანდრე ჩივაძე მწვერთნელობაში მარიალუჭმელი კაცი გახლდათ, ჯერაც დაუღვივებელი ფეხბურთელები მხოლოდ ინდივიდუალური ოსტატობის იმედად იყვნენ. ქომაგი ეიფორიას მოეცვა, პრესის განგაშს კი ყური არავინ ათხოვა და მოლდოველმა ოპრამ ერთი ზუსტი დარტყმით დაასამარა ქართველთა ოცნება. 1994 წლის 7 სექტემბრის საღამოს „ეროვნულის“ ტაბლოზე ჩვენთვის გულმოსაკლავი ანგარიში ციმციმებდა: საქართველო 0:1 მოლდოვა.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე სტუმართა თავკაცმა იონ კარასმა ცეცხლზე ნავთი დაგვისხა: თამაშის წინ თქვენი გუნდის შემადგენლობას რომ გავეცანი, მივხვდი, მხოლოდ გამართული ტაქტიკა გადაგვარჩენდაო. ალექსანდრე ჩივაძე მანამდე ევროთასებზე თავმოჭრილი „დინამოს“ ფეხბურთელებს ენღო, იმათ რამდენიმე მთამაშე დაამატა და ორი მცველით მონინდომა

მამუკა კვანტალიანი

...საქართველო თითქოს ვაერია მსოფლიოს საფეხბურთო მარაქაში. იმედიც მაშინვე გაჩნდა. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ჩვენი სათაყვანებელი ეროვნული გუნდი ევროპის წინაშე წარდგა. ქართულ ფეხბურთს სულ სხვა, თანამედროვე საფეხბურთო მენტალიტეტი დაუპირისპირდა და ჩვენი უძლეველობის მითიც იმწამსვე დაიმსხვრა. როგორც ბევრ სხვა რამეში, ბურთის გორებაშიც წინ წასულა მსოფლიო... როცა საქართველო მესხის, მეტრეველის, ხურცილავას, მაჩაიძისა და ყიფიანის თამაშზე ლეგენდებს ჰყვებოდა, მსოფლიო თურმე სხვაგვარად ფიქრობდა. და ჩაიარა წყვილ-წყვილად უჩვეულოდ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებმა. საქართველომ რვა წელიწადში ბევრი ტიტულიანი და უსახელო გუნდი იხილა თავის სტადიონებზე. ზოგი დავამარცხეთ, ზოგმაც გულგატეხილი დაგვტოვა და ახლა, შემოდგომასზე, მეხუთედ ცდის ბედს ეროვნული გუნდი.

8 სექტემბერს ბაზელში ალექსანდრე ჩივაძე მასპინძელ შვეიცარიის გუნდთან ათამაშებს ჩვენს ნაკრებს. ეს პირველი, სადებიუტო მატჩია ევროპის 2004 წლის ჩემპიონატისკენ სავალ აღმართზე. ჩვენ საქმის რიხით დაწყება კი გვჩვევია, მაგ-

1994 წლის 7 სექტემბერი. საქართველო-მოლდოვა 0:1. შოთა არველაძის ამ შეტევის შედეგი არ მოჰყოლია



მთა ახალაძე



1996 წლის 9 ოქტომბერი. იტალია-საქართველო 1:0. ანჯელო დი ლივიო და დიმიტრი კუდინოვი



1998 წლის 5 სექტემბერი. საქართველო-ალბანეთი 1:0. გოჩა ჯამარაულს მეორე გოლამდე ცოტა დააკლდა

მოდლოველთა დამარცხება. საქართველოს ნაკრების ყველა შეტევა სტუმართა ორგანიზებულ დაცვას და ჩინებულად მოთამაშე მეკარეს შეეშხვრა, ოპრიამ კი ევროპაში კუთვნილი ადგილისკენ მიგვიითია. სხვა გზა არ იყო, საფეხბურთო ტაქტიკისკენ საქართველოსაც უნდა გაეხედა. ჩვენ ორჯერ ეძლიეთ უელსს, ალბანეთს, შინ ბულგარეთსაც ვავლობთ, მაგრამ მხოლოდ გული მოვიოხეთ და ინგლისში მობურთალებს შორიდანა შევცქერიდით.

წამსკვლევი უნდა წამსულიყო...

გავიდა ორი წელიწადი და საქართველომ ახალი იმედით უკვე „მსოფლიოს“ შეუტია. 1996 წლის 9 ოქტომბერს პერუჯის „რენატო კურიზე“ გამოცდილმა და ტიტულთანა არიგო საკიმ იტალია დაგვახვედრა. ჩივადის გუნდს მეორე ცდაზე თითქოს ურიგოდ არ უთამაშია. 0:1 იტალიასთან მართლაც არ იყო ურიგო შედეგი. ვისაც ის თამაში ახსოვს, ალბათ ფრანჩესკო ტოლდოს მიერ მეორე ტაიმში მოგერიებულ ძნელ ბურთებსაც გაისხენებს. საერთოდ, დღესაც მოდამია მითი, რომ ქართველები მუდამ კარგად ვთამაშობთ იტალიელთა წინააღმდეგ, მაგრამ...

თითქოს ჩივადეც გაზრდილიყო, როგორც მწვრთნელი, ფეხბურთელებიც დადინებულნიყვნენ, მაგრამ საქართველოს ნაკრების თამაშში ორი წლის განმავლობაში არაფერი შეცვლილიყო და უძრაობას ცოტა მოგვიანებით, პრესის ზეწოლით, ნაკრების თავკაციც შეეწირა.

იქნებ ეროვნული გუნდისთვის უკეთესი ყოფილიყო, მწვრთნელს ძირითადის ორი-ოდ ფეხბურთელიც უკან მიჰყოლოდა, მაგრამ დღესაც, რვა წლის შემდეგ, ჩვენში თითქმის ყველაფერი უცვლელია.

ობტიმისტები კიდევ არაერთხელ მოიგონებენ პერუჯაში თემურ ქეცბაიას გაცუდე-

ბულ ხელსაყრელ მომენტს, ნემსადის და-რტყმულ ბურთის და ტოლდოს საოცარ რე-აქციას, ქართველების მიერ კარგად ჩატარებულ მეორე ტაიმს, მაგრამ ვერავინ გაისხენებს იტალიელთა გაცუდეულ სა-გოლე მომენტებს. შეიძლება, საქართვე-ლოს დიდი ანგარიშითაც წაეგო.

იტალიამ კი, მიუხედავად გამარჯვებისა, კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა თავს სა-

კის. სინიორ არიგოს ექსპერიმენტები ყვე-ლას ყელში ამოუვიდა, ტაქტიკასაც უწუ-ნებდნენ ბრძენ მანსტროს და მასაც ჩივ-ადის ბედი ხვდა — ნაკრებიდან მოიკვეთა.

ალექსანდრე ჩივადისთვის კი ორი შესა-რჩევი ეტაპის დებიუტი უიღბლო და ტყუ-პისცალივით ერთმანეთის მსგავსი გამოდგა: ორივე მარცხიანი და ერთნაირი ანგარიშით დამთავრებული — 0:1.

2000 წლის 7 ოქტომბერი. ლიტვა-საქართველო 0:4. ლიტველთა იშვიათი შეტევა ქართველებმა იოლად მოიგერიეს



სადაც არა სჯობს...

ისევ ვეროპა, ისევ ახალი იმედი... საქართველო მესამე ცდაზე იყო ამ წნის განმავლობაში ნაკრებში ბევრი რამ შეიცვალა. არა, ფეხბურთელები იგივენი იყვნენ, ხელმძღვანელები შეიცვალნენ. ჩივადის მემკვიდრე ცხოვრებული დავით ყიფიანი გახდა, სწორედ მისგან ჩაიბარა გუნდი ვლადიმერ გუცაევმა.

...და რა კარგად დაიწყო ყველაფერი. ნაკრებმა მალტის ტურნირი მოიგო, სადებიუტო, უსახურ თამაშში ალბანეთის გუნდიც წააქცია „ეროვნულზე“ და მერე ქულაც სანატრელი გაუხდა.

გუცაევს არასდროს დაუმალავს, რომ გუნდის გაახალგაზრდავება სურდა. სწორედ ამ იდეას შეეწირა. ვერ გამოდგა პრინციპული მწვრთნელი, თავისი ვერ გაიტანა, გუნდიდან წასვლაც დაავიანა და დავითოვა ინტრიგებში გახლართული, არაფრის მაქნისი ნაკრები.

1998 წლის 5 სექტემბერს საქართველომ სძლია ალბანეთს, მაგრამ იმ თამაშამაც ცხადად დაგვანახვა, რომ დიდი იმედიც არაფრისა უნდა გვქონოდა. გუცაევი ვერაფერი დიპლომატიკ გამოდგა და მის ხელში დაშლილი ნაკრების აწყობას წლები დასჭირდა. არადა, მისი იდეა საღი იყო. ნაკრები ახალ სისხლს რომ საჭიროებდა, ეს მომდევნო შესარჩევმა ეტაპაც დაამტკიცა, თუმცა ყველა დიდი წამოწყებას რომ სუფთა გული და ხელები სჭირდება, ესეც ფაქტია. მანამდე საქართველო მარცხით იწყებდა და ჯგუფში ჯერ მესამე იყო, შემდეგ მეოთხე, დასაწყისიდან ოთხი წლის თავზე კი სამარცხენო მეხუთე საფეხურზე აღმოჩნდა. ამაზე ქვემოთ კიდევ რადა უნდა ყოფილიყო?!

საქართველო კვლი გზით...

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ტრიუმფით დავიწყეთ. სტუმრად ერთბაშად ოთხი უპასუხო გოლი ეროვნულ გუნდს აქამდე არ გაეტანა. საქართველომ მიწასთან გაასწორა ლიტვის ნაკრები და ერთი იმედიც დაიბადა.

ქართველი ქომაგის საუბედუროდ, კარგი დასაწყისიდან სასიკეთო არაფერი გამოვიდა. ეროვნული გუნდის თავკაცებმა კერავითარი ტაქტიკური საიხვე ვერ შესთავაზეს მეტოქეებს. როგორი ტაქტიკითაც ლიტვასთან დაიწყეს, ისე გააგრძელეს იტალიასთან, იმეგარად დაუხდნენ რუმინეთს, უაზროდ წავიდნენ უნგრეთში და კინოც მორჩა. ვერ იფიქრა ორმა თავმა ერთზე უკეთ. დავით ყიფიანისა და რევაზ ძოძუაშვილის მიერ მდარე ფეხბურთელებით დაკომპლექტებულიმა გუნდმა ფიასკო განიცადა.

საქართველომ რვა წლის განმავლობაში ერთი, დამლუპველი გზით იარა. არავითარი სახელე, ერთი და იგივე გაცვეთილი სახეები, შემინებული გამოძეტველება და უიძელო თვალები. რაც ყველაზე გულსაკლავია, თამაშის მანერა არ შეცვლილა. ასე მოუვლით ჩივადიდან ჩივადმდე საქმეს ვერც აქამდე არნახულმა საპრემიო ფონდმა უშველა. ბოლო შესარჩევი ეტაპის ორი სადებიუტო მატჩის მოგებისთვის ფედერაციის თავკაცმა მერაბ ჟორდანიამ გასამრჯელოდ 600 ათასი დოლარი

დააწესა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, ის თანხა საქართველოდან 2000 წლის ოქტომბრის დასაწყისში ქართულ დელეგაციასთან ერთად ჯერ ლიტვაში, შემდეგ იტალიაში მიზრდილი კეისით გაეშვავრა და უკანვე დაბრუნდა. ფული აუცილებელია, მაგრამ არა უძრავად დიდებული, არამედ საქმისთვის სწორად გამოყენებული.

ორიოდ დღეში საქართველო კიდევ ერთ იმედს ჩაებლაუჭება. აქამდე ჩვენ მხოლოდ

შესარჩევი ეტაპის საწყის მატჩებში ვერ ვივლობდით. ორჯერ დავიწყეთ მარცხით და ორჯერაც გამარჯვებით, მაგრამ შედეგი თითქმის ერთნაირი იყო. საქმეს დღესაც ფიასკოს სუნი უღის. ამის დასტურად 21 ავგისტოს თურქეთი — საქართველო გამოდგება. მაგრამ იქნებ... არავითარი „იქნებ“. ერთსა და იმავეს გამეორებას უკვე აზრი ეკარგება, აბსურდამდე მივყავართ და იმაზე, რასაც ნაკრები სჩადის, ლაპარაკი არ შეიძლება.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
საქართველო 0:1 მოლდოვა
თბილისი. «ეროვნული»
1994. 7 სექტემბერი.
41 000 მაყურებელი

0:1 ობრაი (40)
საძარტველო: ზოიძე, ცხადაძე, შელია, ნემსაძე, ჯამბარაული, რ. არველაძე (რეზერვილი 70), ქინქლაძე, ყაველაშვილი, შ. არველაძე, გურული (ინალიზვილი 46), ა. არველაძე
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივადე
მოლდოვა: კოშელევი, ს. სტროენკო, სეკუ, პოგორელოვი, ნანი, ობრაი, ა. სტროენკო (რეზერვა 55), ბელოუსი, კურტიანუ, სპირიდონი (კოსე 80), კლეშენკო
მწვრთნელი: იონ კარასი
მავრთმელობა: სეკუ, გურული, კოშელევი, ა. სტროენკო, ნემსაძე
მსაჯი: ზაქარი (თურქეთი)

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
იტალია 1:0 საქართველო
პარუჯა. «რინატო კური».
1996. 9 ოქტომბერი.
17 000 მაყურებელი

1:0 რავანელი (42)
იტალია: ტოლოდი, პესოტო, ნესტა, ფერარა, მალდინი, კარბონი (ძოლა 17), დი მატეო, დი ლივიო (პანუჩი 82), კონტე (დ. ბაჯო 70), კაზირაგი, რავანელი
მწვრთნელი: არიგო საკი
საძარტველო: ზოიძე, ლობჟანიძე, ცხადაძე, შელია, კუდინოვი (ინალიზვილი 46), გოგიაშვილი, ნემსაძე, კობიაშვილი, ქეცბაია, ქინქლაძე, გოგორიჭიანი (რ. არველაძე 30)
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივადე
მავრთმელობა: კუდინოვი (44)
მსაჯი: ბლარო (ბელგია)

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
საქართველო 1:0 ალბანეთი
თბილისი. «ეროვნული».
1998. 5 სექტემბერი.
45 000 მაყურებელი


1:0 ა. არველაძე (65)
საძარტველო: გვარამაძე, კალაძე, ცქიტიშვილი, სილაგაძე (კვიციანი 43), წერეთელი, კობიაშვილი, ნემსაძე, ჯამბარაული, ქეცბაია (ზ. ჯანაშია 54), ქინქლაძე, იაშვილი (ა. არველაძე 62)
მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი
ალბანეთი: სტრაიკოშა, ლალა, შულკუ, ვუშმა, ვაბა, პინარი, შაჯი, ბუში (გალი 74), კოლა, რაკლი, ტარე (ბეკო 68, მაჯუნი 86)
მწვრთნელი: ასტრიდ შაფიზი
მავრთმელობა: კობიაშვილი, წერეთელი, ლალა, რაკლი, ზ. ჯანაშია, კვიციანი
მამეობა: პინარი (72), ზ. ჯანაშია (80)
მსაჯი: დეტრუჩი (შვეიცარია)

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
ლიტვა 0:4 საქართველო
კაუნასი. «დარიუსი და გირენასი».
2000. 7 ოქტომბერი.
8 000 მაყურებელი

0:1, 0:2 ქეცბაია (19, 34), 0:3 ქინქლაძე (46), 0:4 ა. არველაძე (85)
ლიტვა: პადიმანკასი, სკერლა, გლვეცკასი, გრაჟუნასი (მაცელვიჩიუსი 35), დ. შუტაუტასი, ბუიტკუსი, შემბერასი, ივანუსკასი (მორინასი 46), ფომენკა (ფინგილასი 57), დანილევიჩიუსი, იანკაუსკასი
მწვრთნელი: სტასის სტანკუსი
საძარტველო: გვარამაძე, სილაგაძე, კობიაშვილი, რეზერვაშვილი, სიზანიშვილი, კალაძე, ნემსაძე, ყაველაშვილი, ქეცბაია (მერთაშვილი 67), ქინქლაძე (ჯამბარაული 71), დემეტრადე (ა. არველაძე 59)
მწვრთნელი: დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი
მავრთმელობა: ა. არველაძე (90)
მსაჯი: ვოიცივი (პოლონეთი)

ტრაპიზონში, როგორც სამართველოში

თეთრი გელის, შავი ყოჩის, ლაზოხის და დიდი სიყვარულის აზვავი



ბადრი კბიტილაძე

ტრაპიზონი. მარაშის გამზირი

ვინა ჯამარული თუვაისა და ალფაის შორის

ქობა ინასარიძე ტრაპიზონი-თბილისი

ტრაპიზონის იმპერია — სახელმწიფო 1204-1461 წწ. მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე. დედაქალაქი ტრაპიზონი. ძირითადი მოსახლეობა: ქართველები, ლაზები, ჭანები და ბერძნები. დაარსდა საქართველოს სამეფო კარის (თამარ მეფის) თაოსნობით და დაზმარებით. ტრაპიზონი საქართველოს ქვეშევრდომი, ყმაღნაფიცი ქვეყანა იყო. იგი მნიშვნელოვან ეკონომიკურ, სტრატეგიულ და პოლიტიკურ როლს ასრულებდა საქართველოს ცხოვრებაში — ასეთია სახელმძღვანელოში ამოკითხული ზოგადი ცნობები ამჟამინდელ ქალაქზე, რომელსაც საქართველოს ნაკრები ორიოდ დღით თურქეთში ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად სტუმრობდა.

შენოლ გიუნეში — 50 წლის. თურქეთის ნაკრების ყველაზე ხელდამშვენებული




ბადრი კბიტილაძე

მწვრთნელი. ეროვნება — თურქი, ტრაპიზონის ოდიტგან მოსახლე ქართველთა შთამომავალი — ლაზი. ლაზები დღევანდელ თურქეთში ძირითადად ართვინში ცხოვრობენ და, როგორც ამბობენ, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მგერულადაც მშვენივრად ილაპარაკებენ. რიზეში, სადაც საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა თამაშა, და ტრაპიზონში, ლაზები შედარებით მცირე რაოდენობით არიან. თუმცა, ვინც არის, მათ შესახებ მთელმა ქალაქმა იცის. პირველ ყოვლისა, იცის შენოლ გიუნეში, კაცი, რომელიც სწორედ ტრაპიზონშია დაბადებულ-გაზრდილი და თურქული ფეხბურთისთვის წარმოდგენელი რამ გააკეთა — მისი გაწვრთნილი თურქეთის გუნდი მსოფლიოში მესამეა.

მაღაზიაში: — ჩვენ ვამაყობთ, გიუნეში ტრაპიზონელია, ის ჩვენი ქალაქის სიმბოლოა. ტრაპიზონი შენოლს ეთავყვანება, — ამბობს ჭადარაჭერული ეფენდი, თითებში კრიალოსანს ათამაშებს, ჩაის

ნაგვიანი ქუჩა და ლამაზი ქალი — ასეთ სურათს მხოლოდ თბილისში კი არ იხილავთ




ტრაპიზონი საქართველოში

მიირთმევს და აწვევს უღვაშებს იხვევს. ტრაპიზონის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე შენოლ გიუნეშის უშველგებელი პლაკატია გაჭიმული — „სიყვარულით ქომაგთაგან“, ასეთი წარწერით.

„უთქვენოდ რა თურქული ფეხბურთი“ წერია იმ სასტუმროს საპარისპირო მხარეს, სადაც თურქეთის ნაკრები და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჰალუკ ულუსოი საქართველოსთან მატჩის წინ იყვნენ დაბინავებულნი. ჰალუკ ულუსოი, ვისაც მსოფლიოს ჩემპიონატამდე ბევრი აკრიტიკებდა და საქმის კეთებას უწუნებდა, დღეს გიუნეშივით თურქეთის ეროვნული გმირია. სწორედ ის გახლდათ, მწვრთნელს, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ქომაგთა მოთხოვნით პოსტის დატოვებას აპირებდა, ბოლომდე რომ ენდო და ოპონენტებს ხმა ჩააწყვეტინა.

უნდა გენახათ, რა ხდებოდა „აგნი აკერის“ ფრიად კოხტა სტადიონზე, როცა სარბენ ბილიკზე მატჩის დაწყებამდე გიუნეში გამოჩნდა. შემდეგ კი — ულუსოიც. ცოტაც და ტრიბუნა ჩამოიქცეოდა. ხალხი გმირებს წამოუდგა — მადლიერების ნიშნად ხელები აღმართა და დააუგუნა: — შენოლ, ჰალუკ, თქვენ თურქეთი ასახელებთ. მადლობთ, გვიყვარხართ. საპატიო სტუმართა ლოუსიკენ მიმავალმა პრეზიდენტმა მატჩის დაწყებამდე ჩამოვლო ვერ მოახერხა. საღამოს მოქმედებს ვერ აუდიოდა.

თაყვანისმცემლები არც სტუმრებს შოთა და არჩილ არველაძეებს, გიორგი ნემსაძეს, ვინა ჯამარაულსა და მთლიანად ქართულ დელეგაციას, აკლდათ ვერ ავიწყრთ როგორ ესაყვარებოდნენ ჩვენებს, განსაკუთრებით კი შოთა არველაძეს, რომელიც ტრაპიზონელი ქომაგების ნამდვილი კერაა ერთი სიტყვა, შოთა, და ყველაფერი გასაგებია. ეს იყო მონატრება, ეს იყო გულისნადების ბოლომდე გამოხატვა, წუთი როცა ამაყად იტყვი: მე ქართველი ვარ და არ შეგრცხვებოდა, როცა, მაგალითად, მატჩი დამთავრდა და ტრიბუნებიდან კვლავ



გიორგი ქინქლაძე და ილდირაი ბაშურკი

გესმოდა — გურჯისტან, გურჯისტან. მთელეგამდე საქართველოს ნაკრებმა სრული შემაღვწელობით მოსინჯა „აგნი აკერის“ მიედანი. ეს თურქების გამოჩენამდე იყო. გასახდელიდან ბოლოს შოთა არველაძე გამოვიდა... გამოვიდა და შეზანზარდა იქ-ურობა. თავი ზედაპარში მეგონა — შოთა, შოთა — გაიმახონდნენ გულუშმატყვიერები და ტრიბუნების ოთხივე მხარეს ახლოდან შესახედად, შეშლილი გამომეტყველებით იწვევდნენ ქართველ ფეხბურთელს. არც შოთას დაუკლია მადლობა. თავდახრილი რამდენიმე წამს, გაირინდა და ისმენდა: „შოთა, შოთა!“ მერე კი მატჩის ბოლომდე: „გურჯისტან გურჯისტან“. არა, ასე საქართველოს თბილისში არ ქომაგობენ, ასეთი რამ თბილისში ჯერ არ მომხდარა.

შოთა და არჩილ არველაძეებს „პუსეინ აენი აქერი“ ფეხზე დაუდგა



ტრაპიზონი საქართველოში

ბაღრაძე ანთონი



მარაშის გამზირზე თურქეთის ნაკრების მწვრთნელის შენოლ ვიუნეშის პლაკატი ფრიალებდა და ზედ ეწერა: სიყვარულით ქომაგთავან

დააკვირდით: თურქეთში შობადობის პრობლემა არ არსებობს

ბაღრაძე ანთონი



თურქეთი საქართველოს ნაკრებს ტაშით, დიდი სიყვარულით დახვდა და გააცილა.

„საქართველოს ჩვენ სიყვარულით შევხვდით. გმადლობთ. ქომაგები საქართველოში, ალბათ, ასევე გვიმასპინძლებენ“ — ფართო შრიფტით წერს ყოველდღიური გაზეთი „თურქეთი“. თურქეთის გუნდი, რომელიც ამ ათიოდე წლის წინათ საფეხბურთო რუკაზე არაფრით იყო გამორჩეული, დღეს მსოფლიოში მესამეაო, ამაყობს და, მადა ჭამაში მოდისო, ახლა ევროპული მწვერვალის დასაპყრობად ემზადება ქვეყანა, სადაც ერთის გასაჭირი ყველას გასაჭირია... ეროვნულ ჰიმნს, რომელიც ყველამ იცის, სტადიონზე მყოფი 70 ათასი ქომაგი ისე მღერის, გოცებისგან პირს დაადებ. სტადიონზე ისეთი ატმოსფეროა, თამაშს მოგაგებინებს, დენს დაგკრავს და საბრძოლველად შეგმართავს. აი, საფეხბურთო თურქეთი.

საქართველოს ნაკრები — გუნდი, რომელსაც ფეხბურთის თამაში დავიწყებია და სადაც, რუკის კუნჭულშია მიფლებული. ქვეყანა, სადაც სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია...

ეროვნული ჰიმნი, რომელიც მომღერალთა გუნდის, გაწაფული კომპოზიტორებისა და თითო-ორი კაცის გარდა არც იცის და ამიტომ არც ისმის-ხოლმე ისევე, როგორც „ავნი აკერიზე“.

ატმოსფერო სტადიონზე — ისეთი, რომ ჩამოგეძინება. ნაცვლად ენერგიული, სახალისო, საცეკვაო, იმტაზე მოსაყვანი,



თურქეთის ნაკრები. დვანან: არიფი, უმით დავალა, ბიულუნთი, ალფაი, ომერი, თუგაი. სხედან: სერპათი, ოქანი, პაქან უნსალი, ილდირაი ბაშთურქი, ემრე ბელოზოდლე

რიტმული მელოდებისა ჩვენში ისმის-
ხოლმე: თეთრი გედი, შავი ყორანი...

ხედავთ განსხვავებას?

მაშ, ვინ თქვა, ტრაპიზონში საქართველოს
არ უნდა წაეგო? არ გიკვიროთ, მატჩი რომ
3:0 დამთავრდა?

ისე, ტრაპიზონში ახლაც ბევრია
ქართველი. იაფფასიანი სასტუმროების
კლიენტები...

პაქან უნსალი და გიორგი დემეტრაძე

გაფრთხილება



საქართველოს ნაკრები. დვანან: კობიაშვილი,
ლომაია, ცქიტიშვილი, შაშიაშვილი, საჯაია,
ჯამარაული სხედან: ქინქლაძე, შ. არგულაძე,
ნემსაძე, დემეტრაძე, ვახოკიძე



შე, სარ წასულა ევროპა!

ივო შუშაკი

სხვაგვარად ფიქრობს

მამუკა კვანცალიანი

ევროტურნირებში მონაწილე ოთხი ქართული გუნდიდან სამი წლებიანდელ უწვეულო ზაფხულს და მეტოქეებს შეეწირა. ინტერტოტოზე მეორედ მობურთაღმა „ვიტ ჯორჯიამ“ და უეფას თასზე ძალების შესამედ მომსინჯავმა „ლოკომოტივმა“ საკვალიფიკაციო ეტაპებიც ვერ გადალახეს. ჩემპიონი „ტორპედო“ მეორე ბარიერს ვერ გადაახტა და დავრჩით საშემოდგომოდ ერთი იმედის ამარა. იმ იმედს „დინამო“ ჰქვია, რომელიც სექტემბერში ლიბერეცის „სლოვანს“ ჩამოგვიყვანს.

სოკრატის ვილოსოვია

ძალიან სუსტი გუნდი შეხვდა უეფას თასის გათამაშების საკვალიფიკაციო ეტაპზე ათგზის ჩემპიონს. ტალინურ ტემკას გასაცოდავებელი ქართული ჩემპიონატის პრიზიორი კი არა, საშუალო გუნდიც თამამად შეეტოქებოდა.

„დინამომ“ ორი თამაშის ჯამში ექვსი გოლი გაუტანა მოწინააღმდეგეს. თუმცა, ამათგან ერთი მეტოქემ საკუთარ კარში გაიტანა. თბილისელებმა ტალინელები ყველაფერში დაჩაგრეს და იქნებ სასიხარულოც იყოს, ვიდაცას ჯერაც რომ ვჯობნით, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

არა, ყველამ კარგად ვიცით, რომ ასე სწრაფად, სულ რამდენიმე თვეში, ზორვატი ივო შუშაკი უეფას თასის თბილისში ვერ ჩამოგვიტანს, თუმცა ქომაგს დღესვე უნდა დაინახოს სამომავლო იმედი.

დღევანდელი და აღრინდელი „დინამოს“ შედარება არ შეიძლება. აშკარაა, გუნდმა თამაშს მოუმატა. დაიხვეწა დაცვა, მობილური და მებრძოლია შუა ხაზი. ვხედავთ დამუშავებულ სტანდარტულ სიტუაციებს და ათგზის ჩემპიონმა გუნდური თამაშის თითქოს ათვისა.

თუმცა ხარვეზებიც ნათელია. მეკარეები ჯერაც ვერ თამაშობენ საიმედოდ. ფაქტობრივად უმოქმედოა თავდასხმა და ფეხბურთელებიც ვერ გამოიყურებიან ისე ცოცხლად, ჩვენ რომ გვწავდა.

თუმცა, ივო შუშაკი სხვაგვარად ფიქრობს. მწვრთნელი მხოლოდ იმაში გვეთანხმება, რომ „დინამოს“ კარგი მომზადება სამომავლოდ უფრო წაადგებოდა. სხვა დანარჩენზე თავისი გამოკვეთილი პოზიცია მას არაერთხელ დაუფიქსირებია და ფეხბურთელების მომზადებითაც კმაყოფილია.

ბატონმა შუშაკმა წვრთნის პროცესიც თავისებურად დაგეგმა. შეკრებამოვლილი „დინამო“ სადღესოდ საუკეთესო ფორმაში ვერ არის, მაგრამ სოკრატის გათვლებით ათგზის ჩემპიონმა მზადყოფნის პიკს სწორედ შემოდგომის შუაწელში უნდა უწიოს. თუ შუშაკის ჩანაფიქრი ასრულდა, მაშინ მართლაც ჩინებული საპეციალისტი ყოფილა.

ბაიბურ კიტოილაძე



ტალინელთათვის დინამოელი ვიტალი დარასელია (ბურთით) გადაულახავი პრობლემა აღმოჩნდა

ლოკომოტივისთვის კი გადაულახავ პრობლემად. კოპენჰაგენელი ზუმა იქცა — დავით სირაძე (20) და სერგო ორბელიაძე მის შესაჩერებლად ყველა ღონეს ხმარობდნენ

ბაიბურ კიტოილაძე



მანამდე კი... ტემკ ვერაფერი სპარინგ-პარტნიორი გამოდგა. თბილისური მატჩის პირველ ტაიმსაც შეეცყო, ტალინელები ჩვენებს პრობლემებს რომ ვერ შეუქმნიდნენ. „დინამოს“ რეალური ძალა უეფას თასის გათამაშების მომდევნო ეტაპზე გამოჩნდება. იქ სხვა მეტოქეა, იქ სხვა დონეა. შუშაკიც სხვაგვარად ფიქრობს, არაქართულად, და ეს უკვე სიკეთის ნიშანია.

მეტოქე კი დაწყობილი ქვეყნის წარმომადგენელია. „სლოვანი“ შეიძლება გრანდი არ არის, მაგრამ ჩეხებმა ფეხბურთი იციან,

მას თანამედროვეობის თვალთ უყურებენ და ჩვენსავით გამარჯვებას დანატრულები არ არიან. უკვე ძალიან შორსაა ტალინი და მისი ტემკ, ეს ხომ დონეა, ევროპული და ჩვენი შესაძლებლობების შემფასებელი.

ათი წუთის გუნდი

თითქმის ერთი თვე დაჰყო თბილისის „ლოკომოტივიმ“ ბულგარეთში შეკრებაზე და იქიდან დაძაბუნებული დაბრუნდა. კლუბის თავკაცებს ეიმედებოდათ, დღეს-ხვალ ჯანზე მოვლენ ბეჭვებით, მაგრამ გავიდა ერთი

კვირა, ათი დღე, თვეც მიილია და რკინიგზელებს თუ არაფერი დააკლდათ, არც მომატებიათ.

ყველაფერი ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში გამოჩნდა, წნორის „მილანთან“ ბოლო ტურის საშინაო თამაშმა კი ცივი წყალი გადაავლო მეჩხრად, მაგრამ მაინც შემორჩენილ მოიმედებს.

„კოპენჰაგენი“ კი ჩვენებური „მილანი“ არ არის — წელგამართული, დაბალანსებული, მომზადებული და თავიანი გუნდია. შეიდი დანიური გოლი ორი ქართულის საპასუხოდ სრული უპირატესობის მაუწყებელია.

მხოლოდ ღვთის ანაბარა დარჩენილი „ლოკომოტივი“ თავიდანვე განწირული იყო. დანიელები შინაც ავებდნენ და სტუმრადაც, მაგრამ ნერვიც არ შეტოვებიათ, რკინიგზელებთან დღეული ნელ-ნელა ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს.

რისი ეიმედებოდა „ლოკომოტივის“? ალბათ ჯანაშინას სასწაულის, ანაც გოგიჩაიშვილის მეორე ახალგაზრდობას თუ მოელოდა.

ზაზამ მართლაც მოახდინა მცირე სასწაული — ორჯერ, შინაც და სტუმრადაც, დააწინაურა რკინიგზელები, გასაოცარი გოლებიც შეაგლო, მაგრამ ვიკინგებთან მარტო ვერას გახდა.

კახამ პირველ თამაშში მოინდომა, შეეძლო მომდევნო ეტაპზე მოხვედრის იმედი ოდნავ მაინც გაეზარდა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა. თბილისში სულაც ვერ ითამაშა. ჯანმრთელობამ უმტყუნა.

დანარჩენი რკინიგზელები უმწეოდ უყურებდნენ, როგორ არბევდა ზუმა მათ რიგებს, როგორ დაქროდა მოედანზე მიუკლანდი, უყურებდნენ და არც უკვირდათ, პეტერსონი და იონსონი მთელ გუნდს ბავშვებივით რომ აპამპულავებდნენ.

„ლოკომოტივი“ ათი წუთის გუნდია. „პირველ ტალღაზე“ ჯანაშინა „გაგაიყვება“, მოუხელთებელი გოლს გაიტანს, მერე მეტოქე გამოფხიზლდება, მომდევნო ათ წუთში თამაშს დაალაგებს და პირველი საპასუხო ბურთის შემდეგ საქართველოს ვიცე-ჩემპიონი უმწეო ხდება.

რკინიგზელებმა მოედანზე სწორად განლაგებაც კი არ იციან, კონკრეტულ მომენტზე მეტოქეზე წამით გვიან ახდენენ რეაგირებას. 90 წუთს სირბილის თავი არა აქვთ და თანამედროვე ფეხბურთისგანაც შორს დგანან. კი სჩვევიათ ერთი შეხედვით ლამაზ-ლამაზი ფინტები და ქუსლურები, მაგრამ წინსვლის გარეშე თანამედროვე ფეხბურთში „ტინგიცი“ არავის სჭირდება.

არეული უკანა ზაზი, ნახევარდაცვაში ყველა ჩამშლელი და არც ერთი შემქმნელი მოთამაშე... ხოლო ჯანაშინა, სასწაულმოქმედი რომ იყოს, საქართველოში არ დაბრუნდებოდა.

ვაკეში სამართლიანობამ იხვიმა. გამართული ფეხბურთის მოთამაშე, თავიანთა „კოპენჰაგენმა“ „ლოკომოტივის“ ნამდვილი ფეხბურთი აჩვენა. მშვიდობით, ერთ წელიწადში ძალიან შორს წასული ევროპაც ალბათ, გაისადაც იგივე განხორცილება.

უეფას თასი

საკვალიფიკაციო ეტაპი

თბილისი. 15 აგვისტო. 20 საათი. ეროვნული. 6 000 (ტევადობა 70 400)

დინამო 4:1 ტვმკ

ქ1 კარლოსი (6), 20 დარასელია (15), 3ა, 4ბ შაშიაშვილი (43, 49), 4ა ლევტმა (75)
დინამო: ზოიძე, ვაშაძე, შაშიაშვილი, კარლოსი, გოგობერიშვილი, ამისულაშვილი, სახვაძე, ახალია, დარასელია, ანჩაბაძე, მიქაძე (ბობოხიძე 65)
მწვრთნელი: იგო შუშაკი
ტვმკ: უსოლცევი, სვიბერსკი, მოკოლენკო (პაიცივი 46), კაბუსტინი, კურიანოვი, ლევტმა, ბორისოვი, სმირნოვი, კროლოვი (ტევერი 46), მალივი (კისელიოვი 81), სარაევი
მწვრთნელი: ვიაჩესლავ სმირნოვი
გაზრთხილებ: ახალია (45), ლევტმა (53), პაიცივი (54), კარლოსი (74)
მსაპი: პლაგაჩი (ჩეხეთი)

ტალინი 29 აგვისტო. 21 საათი. ა ლე კოქ არენა. 500 მაყურებელი

ტვმკ 0:1 დინამო

0ა ახალია (74)
ტვმკ: უსოლცევი, სვიბერსკი, მოკოლენკო, კაბუსტინი, ლევტმა, ბორისოვი, სმირნოვი, კროლოვი (მალივი 77), სარაევი, კისელიოვი (ტევერი 55), პაიცივი
მწვრთნელი: ვიაჩესლავ სმირნოვი
დინამო: ზოიძე, კანდელაკი, ვაშაძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კარლოსი (ზიზანიევილი 83), სახვაძე, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე, დარასელია (მიქაძე 77), ახალია
მწვრთნელი: იგო შუშაკი
გაზრთხილებ: კაბუსტინი (34), მოკოლენკო (42), გოგობერიშვილი (51), მოკოლენკო (71)
მსაპი: ბერნტსენი (ნორვეგია)

კოპენჰაგენი. 15 აგვისტო. 22.05 საათი. პარკენი. 10 692 (ტევადობა 41 200)

კოპენჰაგენი 3:1 ლოკომოტივი

0ა ჯანაშინა (9), 1ა იონსონი (41), 2ა როლ-ლარსენი (47), 3ა იონსონი (56)
კოპენჰაგენი: პედერსენი, ანტონელიუსი, როობა, სვენსონი, ალბრეტსენი, ლონსტრუმი (ზისგაარდი 89), მიუკლანდი, ნილსენი (ფრედგაარდი 78), როლ-ლარსენი, პეტერსონი (მიოლერი 73), ტ იონსონი
მწვრთნელი: პანს ბაკე
ლოკომოტივი: ლომია, ბალაშვილი, ორბელიძე, სალუქვაძე, ბურნაძე (ლაცაბიძე 71), კვარაცხელია, სირაძე, ონიანი, გოგიჩაიშვილი, ჯანაშინა, რუსია (ჭიჭვივიშვილი 46)
მწვრთნელი: სერგო კოტრიკაძე
გაზრთხილებ: ონიანი (51)
მსაპი: იარა (ჩეხეთი)

თბილისი. 29 აგვისტო. 19 საათი. ლოკომოტივი. 6 000 (ტევადობა 25 600)

ლოკომოტივი 1:4 კოპენჰაგენი

10 ჯანაშინა (9), 1ა ზუმა (23), 12, 13 პეტერსონი (69, 73), 14 იონსონი (81)
ლოკომოტივი: ლომია, ბალაშვილი, ორბელიძე, სალუქვაძე, კვარაცხელია, რ. ონიანი, ჭიჭვივიშვილი (ლაცაბიძე 28), სირაძე (ბურნაძე 46), ქორიძე, კადარაშვილი, ჯანაშინა
მწვრთნელი: სერგო კოტრიკაძე
კოპენჰაგენი: კილშტედტი, ანტონელიუსი, როობა, სვენსონი, ალბრეტსენი (ზისგაარდი 70), ლონსტრუმი, მიუკლანდი, ნილსენი, როლ-ლარსენი, ზუმა (პეტერსონი 66), მიოლერი (ტ იონსონი 76)
მწვრთნელი: პანს ბაკე
გაზრთხილებ: ქორიძე (77), ლაცაბიძე (78)
მსაპი: დუროსი (საბერძნეთი);

გზა სინარულიკა

სად ტარდება ევროპის საფეხბურთო სუპერთასის მატჩები ბოლო წლებში? სად მართავენ ყოველი შობის წინ გალა წარმოდგენას ფიფას ვერსიით წლის საუკეთესო ფეხბურთელისთვის ჯილდოს გადასაცემად? სად იმართება ყოველ მაისში ფორმულა 1-ის ეტაპი? სად დააქროლებენ თავიანთ რკინის რაშებს რალის დიდოსტატები? სად ეწყობა წლის საუკეთესო მძღველის დაჯილდოების ცერემონიალი? სად... კიდევ ბევრი პრესტიჟული შეჯიბრებისა თუ მოვლენის ჩამოთვლა შეიძლებოდა, მაგრამ მოდი მოთმინებას ნუ გამოვცდით და ყველა ამ კითხვას პირდაპირ გავცეთ პასუხი: პატარა საჰერცოგოში, რომელსაც მონაკო ჰქვია. მონაკოშივე ფრანგული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კლუბი „მონაკო“.

მერე რა მხარეა ასეთი, ეს მონაკო? ეს გახლავთ ხუთი ნაწილად დაყოფილი საჰერცოგო, რომელსაც აგერ უკვე 700 წელიწადზე მეტია, გრიმალდების საგვარეულო მართავს. ხსენებული ხუთი ნაწილიდან ყველაზე ცნობილია მონტე-კარლო, სადაც საქვეყნოდ განთქმული კაზინოა აგებული. „ლუი მეორის“ სტადიონი, „მონაკო“ რომ თამაშობს, ფონტევილის შედარებით ახალ გარეუბანში, ლაჟვარდოვანი ნაპირისკენ მდებარეობს. მონაკოს მოსახლეობა 30 ათასი კაცია, თუმცა საჰერცოგოს სრულფასოვანი მოქალაქე მათგან მხოლოდ მესუთედია და ისინი ძირითადად სასტუმროებში, ბანკებსა და კაზინოში მუშაობენ. დანარჩენები ტრადიციული ვაგებით მონაკოელები არ არიან, ან ორმაგი მოქალაქეობა აქვთ, ან ბიზნესის საქმეებზე სხვა, თავიანთ ნამდვილ ქვეყნებში მიდი-მოდიან.

ზემოთ კაზინო ვახსენეთ. ეს გახლავთ ნაგებობა, რომელიც მე-19 საუკუნეში პარიზელმა არქიტექტორმა შარლ გარნიემ ააგო. იქ დაარსების დღიდან თავისებური წესები მოქმედებს. კერძოდ, შემსვლელი აუცილებლად 21 წელს გადაცილებული და სავანგებოდ გამოწვეპილი უნდა იყოს, თან მისი პასპორტი არავითარ ეჭვს არ უნდა იწყვედეს. მაგრამ სალონებში შესასვლელად და გასართობად მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. მაგალითად, თუ თან ფოტო ან ვიდეოკამერატი გაქვთ, დიდი ბოდიში, მაგრამ არ შეგატანინებენ...

REUTERS



თვით ლუიშ ფიგუ და ზინედინ ზიდანი არ თაკილობდნენ შინგი ონოსთვის ბურთის ართმევას

პრის, თარსი თასი!



აპროპის სუპერთასი
რეალი 3:1 ფეინოორდი



10 პატრიკ ბაუვე (14 სკ), 20 რობერტო კარლოსი (21), 21 პიერ ვან პოიდონვი (56), 31 ხოსე-მარია გუტი (60) რეალი: კასილასი, სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი, მაკელელე, კამბიასო (პაიონი 87), ფიგუ, ზიდანი (სოლარი 86), რაული, გუტი (პორტილიო 70)
ფეინოორდი: ზუტებიერი, გიანი (ბუფელი 71), ვან ვინდერენი, ბაუვე, რუსა, ემერტონი, ბოსველტი, ონო, ლოურლინგი, ვან პოიდონვი, კალუ მსამპი: დილასი (შოტლანდია)

ბრიმალდების ქვეყანა

კაზინოს კომპლექსში ღირსშესანიშნავი ადგილია „ოპერის სახლი“ — არქიტექტურული თვალსაზრისით ძალიან ზაინტერესო ქმნილება, რომლის ავტორიც კვლავ და კვლავ შარლ გარნიე გახლავთ. მონაკო-ვილში აუცილებლად მოსანახულებელია სან-მარტი-

ნის მოედანი, სადაც ოკეანოგრაფიის მუზეუმი აუშენებიათ. მონტე კარლოშია თანამედროვე მონარქების მიერ მოწყობილი ნაირგვარი ატრაქციონებიც. ფონტევილში, „ეკზოტიკურ ბაღად“ წოდებულ ბულვარზე, ათასობით ტროპიკულ და უცხო ჯიშის მცენა-





თარსი კი იმიტომ, რომ „რეალს“ უდიდესი წარსულისა და რეგალიების მოუხედავად, ამ ერთი შეხედვით მეორე ხარისხოვანი ევროპული ჯილდოს მოპოვება ისტორიის მანძილზე ვერაფრით მოეხერხებინა. თქვა კიდევაც „სამეფო გუნდის“ მწვრთნელმა, ვისენტე დელ ბოსკემ მატჩის წინ, დღეს გამარჯვება საგანგებოდ გვწადა, რათა გულს აღარაფერი გვაკლდესო.

და, აი, მადრიდელებს დედამიწის ზურგზე აღარაფერი აკლიათ. „ფეიენოორდმა“ მათ ლალ თამაშს, სიტყვა თამაშის ნამდვი-

ლი მნიშვნელობით, ვერაფერი დაუპირისპირა. „რეალმა“ სუპერჯილდო აღმართა და დელ ბოსკეს პირით ასე განაცხადა: „ამით წარმატებათა პირველი ციკლი დასრულებულია. ბოლო წლებში ესპანეთის ჩემპიონებიც გავხდით, ლიგაშიც გავიმარჯვეთ და, აი, ახლა სუპერთასსაც დავეუფლეთ.“

დამარცხებულთა თავკაცმა, ბერტ ვან მარვიკმა კი მეტოქე შეაქო: „მადრიდელები მსოფლიოში ყველას სჯობიან და ამ საღამოს მათ ეს დაამტკიცეს. ჩვენ მეორე ტაიმამდე საერთოდ გონს ვერ მოვეგეთ.“

„რეალმა“ მონაკოში გაილაღა

REUTERS



რეს ნახვით, პრინცესა გრეისის ქუჩაზე თოჯინებისა და მექანიკური სათამაშოების სრულიად უნიკალურ კოლექციას დაათვალიერებთ, „ზღაგონობის მუზეუმში“ პრინც რაინერ მესამის გემთა კერძო კოლექცია მოგტაცებთ თვალს, ფონტეველიის ტერასაზე მისივე შეგროვებული მანქანები გააოცებთ, ხოლო ბასეს ქუჩის 27 ნომერში სამეფო ოჯახის წევრთა ცვილის ფიგურები აღგაფრთოვანებთ. და კიდევ, თუ მონტე-კარლოში მოხვდებით, აუცილებლად ნახეთ პოლკოვნიკ ბელანდო დე კასტროს ქუჩაზე მონაკოს საკათედრო ტაძარი, რომელიც მე-13 საუკუნის ტაძრის ნანგრევებზე აღუმართავთ.

თუმცა, თქვენ ხომ სპორტის მოყვარული ბრძანდებით. ამიტომაც ორიოდ სიტყვა საფეხბურთო კლუბ „მონაკოზეც“ ვთქვათ. ეს კლუბი 1924 წელს დაარსდა, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ პროფესიული ლიგებშია მიიღო და 1953 წლიდან საფრანგეთის პირველ დივიზიონშია. შეატყო რა, რომ „მონაკო“ საკმაოდ კარგი გუნდი იყო, რაინერ მესამემ გვარიანი ფული მოახმარა მის განვითარებას და პასუხად საფრანგეთის შვიდჯის ჩემპიონობაც მიიღო. სხვათა შორის, 60-იან წლებში, როდესაც მონაკომ პირველად და მეორედ მიაბოვა ტიტული, გუნდს შემდგომში ლეგე-

ნდად ქცეული მიშელ იდალგო ხელმძღვანელობდა. მოუხედავად იმისა, რომ ევროპული ჯილდო არასდროს მოუპოვებია, „მონაკოს“ გამორჩეულ მწვრთნელთა კოლექციით თავის მოწონება ნამდვილად შეუძლია — იდალგოს გარდა არსენ ვენგერის, ჟან ტიგანას და კლოდ პუელის სახელების

ჩამოთვლა, ვფიქრობთ, საკმარისი უნდა იყოს. ახლა ფეხბურთელები? — ჟან-ლუკ ეტორი, გლენ ჰოდლი, პატრიკ ბატისტონი, მანუელ ამორო, ტიერი ანრი, სონი ანდერსონი... დღეს „მონაკოს“ დიდი დემანი უღვას სათავეში.

ახლა, ორიოდ სიტყვა „ლეი მეორის“ სტადიონზე: ამ ლამაზ ნაგებობამდე მისვლა პრობლემა არ არის. შევიძლიათ ნიციდან ვერტმფრენს გაჰყვით ან, უბრალოდ, მატარებლით თუ ავტობუსით გაემგზავროთ. წინასწარ ბილეთებზე ზრუნეთაც ნუ მოიკლავთ თავს, ათასში ერთხელ თუ მოხდება, რომ „ლეი მეორე“ ხალხით ისე გაიჭედოს, დასაჯდომი ადგილი ვერ იპოვოთ. ტრიბუნების ჩამოთვლას ახლა არ დავიწყებთ, თვითონ გაერკვევით, ხოლო თუ ბარში შესვლას მოინდომებთ, „ეკიპი“ თქვენს განკარგულებაშია.

„ლეი მეორე“ საფრანგეთში ჩატარებული დიდი შეჯიბრებების მასპინძლობა ვერ შეძლო. ევროპის 1984 წლის პირველობისთვის მისი გახსნა ვერ მოასწრეს, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორებს კი ტრიბუნებზე — 20 ათასი ადგილი ჩ— ეცოტავათ. აქვე, გვერდზე, ძველი სტადიონიცაა, მაგრამ აბა, „ლეი მეორის“ ფონზე მას ვინ შეხედავს. კაცმა რომ თქვას, ეს სტადიონი მთელი სპორტ-კომპლექსია, საგანგებოდ პარიზიდან ჩაყვანილი არქიტექტორების აგებული. პრინცმა რაინერ მესამემ, 1985 წელს ნაგებობა საზეიმოდ გახსნა და პაპამისის სახელი მიანიჭა.

თუმცა, სპორტი სპორტად და, მონაკოზე საუბრისას ღამის ცხოვრება არ ვახსენოთ, შეცდომა იქნება. ღამის მონაკო ძალიან უყვართ მსოფლიოში შემორჩენილ სამეფო ოჯახების წევრებსა და ყველა ჯურის ვარსკვლავებს — დისკოთეკები მონტე-კარლოს სპორტკლუბებში თუ ამერიკული ბარი „ოტელ დე პარიში“, მონაკოს ნავსაყუდლის უპოპულარესი ნაგებობა **LA STARS N BARS** თავისი კლუბებით, „ლამაზთა ბარი“, „პიანინოს ბარი“ და ბევრი, ბევრი, ბევრი სხვა.

ერთი სიტყვით, „რეალ“ — „ფეიენოორდის“ თამაშის შემდეგ ხალხი არ მოიწყენდა.

მონტე-კარლოს ცნობილი კაზინო მე-19 საუკუნეში პარიზელმა არქიტექტორმა, შარლ გარნიემ ააგო





ჩემპიონთა ლიგა 2002-2003



CHAMPIONS
LEAGUE

A ჯგუფი

CHAMPIONS
LEAGUE

		1	2	3	4	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1	დორტმუნდი <i>გერმანია</i>									
2	ოსერი <i>საფრანგეთი</i>									
3	ჰსვ ეინდჰოვენი <i>ჰოლანდია</i>									
4	არსენალი <i>ლონდონი, ინგლისი</i>									

I ტური, 17.09.2002
ოსერი — ჰსვ ეინდჰოვენი
არსენალი — დორტმუნდი

II ტური, 25.09.2002
დორტმუნდი — ოსერი
ჰსვ ეინდჰოვენი — არსენალი

III ტური, 02.10.2002
ჰსვ ეინდჰოვენი — დორტმუნდი
ოსერი — არსენალი

IV ტური, 22.10.2002
დორტმუნდი — ჰსვ ეინდჰოვენი
არსენალი — ოსერი

V ტური, 30.10.2002
ჰსვ ეინდჰოვენი — ოსერი
დორტმუნდი — არსენალი

VI ტური, 12.11.2002
ოსერი — დორტმუნდი
არსენალი — ჰსვ ეინდჰოვენი

B ჯგუფი

		1	2	3	4	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1	სპარტაკი <i>მოსკოვი, რუსეთი</i>									
2	ვალენსია <i>ესპანეთი</i>									
3	ლივერპული <i>ინგლისი</i>									
4	ბაზელი <i>შვეიცარია</i>									

I ტური, 17.09.2002
ვალენსია — ლივერპული
ბაზელი — სპარტაკი

II ტური, 25.09.2002
სპარტაკი — ვალენსია
ლივერპული — ბაზელი

III ტური, 02.10.2002
ლივერპული — სპარტაკი
ვალენსია — ბაზელი

IV ტური, 22.10.2002
სპარტაკი — ლივერპული
ბაზელი — ვალენსია

V ტური, 30.10.2002
ლივერპული — ვალენსია
სპარტაკი — ბაზელი

VI ტური, 12.11.2002
ვალენსია — სპარტაკი
ბაზელი — ლივერპული

C ჯგუფი

		1	2	3	4	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1	რეალი <i>მადრიდი, ესპანეთი</i>									
2	ბენეკი <i>ბელგია</i>									
3	აეკ <i>ათენი, საბერძნეთი</i>									
4	რომა <i>რომი, იტალია</i>									

I ტური, 17.09.2002
ბენეკი — აეკ
რომა — რეალი

II ტური, 25.09.2002
რეალი — ბენეკი
აეკ — რომა

III ტური, 02.10.2002
აეკ — რეალი
ბენეკი — რომა

IV ტური, 22.10.2002
რეალი — აეკ
რომა — ბენეკი

V ტური, 30.10.2002
აეკ — ბენეკი
რეალი — რომა

VI ტური, 12.11.2002
ბენეკი — რეალი
რომა — აეკ

D ჯგუფი

		1	2	3	4	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1	ლიონი <i>საფრანგეთი</i>									
2	რუსენბორგი <i>ბრონდოპი, ნორვეგია</i>									
3	ინტარი <i>ვილანი, იტალია</i>									
4	აიაქსი <i>ჰოლანდია</i>									

I ტური, 17.09.2002
რუსენბორგი — ინტარი
აიაქსი — ლიონი

II ტური, 25.09.2002
ლიონი — რუსენბორგი
ინტარი — აიაქსი

III ტური, 02.10.2002
ინტარი — ლიონი
რუსენბორგი — აიაქსი

IV ტური, 22.10.2002
ლიონი — ინტარი
აიაქსი — რუსენბორგი

V ტური, 30.10.2002
ინტარი — რუსენბორგი
ლიონი — აიაქსი

VI ტური, 12.11.2002
რუსენბორგი — ლიონი
აიაქსი — ინტარი



ჩემპიონთა ლიგა 2002-2003



CHAMPIONS
LEAGUE

ე ჯ გ უ ზ

CHAMPIONS
LEAGUE

		1	2	3	4	მ	უ	ნ	ბ	ქ
1	ნიუკასლი <i>ინგლისი</i>									
2	ფაიენოორდი <i>როტერდამი, ჰოლანდია</i>									
3	იუვენტუსი <i>ბურინი, იტალია</i>									
4	დინამო <i>კიევი, უკრაინა</i>									

I ტური, 18.09.2002
ფაიენოორდი — იუვენტუსი
დინამო — ნიუკასლი

II ტური, 24.09.2002
ნიუკასლი — ფაიენოორდი
იუვენტუსი — დინამო

III ტური, 01.10.2002
იუვენტუსი — ნიუკასლი
ფაიენოორდი — დინამო

IV ტური, 23.10.2002
ნიუკასლი — იუვენტუსი
დინამო — ფაიენოორდი

V ტური, 29.10.2002
იუვენტუსი — ფაიენოორდი
ნიუკასლი — დინამო

VI ტური, 13.11.2002
ფაიენოორდი — ნიუკასლი
დინამო — იუვენტუსი

ფ ჯ გ უ ზ

		1	2	3	4	მ	უ	ნ	ბ	ქ
1	ლევერკუზენი <i>გერმანია</i>									
2	მანჩესტერ იუნაიტედი <i>ინგლისი</i>									
3	მაკაბი <i>ჰაიფა, ისრაელი</i>									
4	ოლიმპიკოსი <i>აიროსი, საბერძნეთი</i>									

I ტური, 18.09.2002
მანჩესტერი — მაკაბი
ოლიმპიკოსი — ლევერკუზენი

II ტური, 24.09.2002
ლევერკუზენი — მანჩესტერი
მაკაბი — ოლიმპიკოსი

III ტური, 01.10.2002
მაკაბი — ლევერკუზენი
მანჩესტერი — ოლიმპიკოსი

IV ტური, 23.10.2002
ლევერკუზენი — მაკაბი
ოლიმპიკოსი — მანჩესტერი

V ტური, 29.10.2002
მაკაბი — მანჩესტერი
ლევერკუზენი — ოლიმპიკოსი

VI ტური, 13.11.2002
მანჩესტერი — ლევერკუზენი
ოლიმპიკოსი — მაკაბი

გ ჯ გ უ ზ

		1	2	3	4	მ	უ	ნ	ბ	ქ
1	ლანსი <i>საფრანგეთი</i>									
2	ბაიერნი <i>მიუნხენი, გერმანია</i>									
3	დევორტივო <i>ლა კორუნია, ესპანეთი</i>									
4	მილანი <i>იტალია</i>									

I ტური, 18.09.2002
ბაიერნი — დევორტივო
მილანი — ლანსი

II ტური, 24.09.2002
ლანსი — ბაიერნი
დევორტივო — მილანი

III ტური, 01.10.2002
დევორტივო — ლანსი
ბაიერნი — მილანი

IV ტური, 23.10.2002
ლანსი — დევორტივო
მილანი — ბაიერნი

V ტური, 29.10.2002
დევორტივო — ბაიერნი
ლანსი — მილანი

VI ტური, 13.11.2002
ბაიერნი — ლანსი
მილანი — დევორტივო

დ ჯ გ უ ზ

		1	2	3	4	მ	უ	ნ	ბ	ქ
1	ბრიუჟე <i>ბელგია</i>									
2	ლოკომოტივი <i>მოსკოვი, რუსეთი</i>									
3	გალათასარაი <i>სტამბოლი, თურქეთი</i>									
4	ბარსელონა <i>ესპანეთი</i>									

I ტური, 18.09.2002
ლოკომოტივი — გალათასარაი
ბარსელონა — ბრიუჟე

II ტური, 24.09.2002
ბრიუჟე — ლოკომოტივი
გალათასარაი — ბარსელონა

III ტური, 01.10.2002
გალათასარაი — ბრიუჟე
ლოკომოტივი — ბარსელონა

IV ტური, 23.10.2002
ბრიუჟე — გალათასარაი
ბარსელონა — ლოკომოტივი

V ტური, 29.10.2002
გალათასარაი — ლოკომოტივი
ბრიუჟე — ბარსელონა

VI ტური, 13.11.2002
ლოკომოტივი — ბრიუჟე
ბარსელონა — გალათასარაი

რა მოხდა და რა არ მოხდა

ბიორბი ვაჟაიძე



მოხდა ის, რომ ლიგა დაღა-
ვდა, — ესპანეთმა (4), იტალიამ
(4), ინგლისმა (4), გერმანიამ (3), კ
ოლანდიამ (3), საფრანგეთმა (3), ბე-
ლგიამ (2), რუსეთმა (2) და საბერ-
ძეთმა (2) ჯგუფურ პირველ ეტა-
პზე კუთვნილი ადგილები დაიკა-
ვეს. მოხდა ის, რომ შოტლანდიის
„სელტიკი“ შვეიცარიის „ბაზელს“

ვერ მოერია, ჩეხეთის „სპარტა“ — ბელგიის „გენკს“, პორტუგა-
ლიის „ბოავიშტა“ საფრანგეთის „ოსერს“, თურქეთის „ფენერბაჰ
ჩე“ კი — პოლანდიის „ფეიენორდს“. არადა, „სელტიკმა“, „სპა-
რტამ“, „ბოავიშტამ“ და „ფენერბაჰჩემ“ შარშანდელი ლიგიდან
ავად თუ კარგად დაგვამახსოვრეს თავი და მათი ხსენებაც ამაღ
დაგვჭირდა. მოხდა ის, რომ კიევის „დინამო“ ზედიზედ მეექვსედ
გავიდა საკვალიფიკაციოდან ჯგუფურ ეტაპზე. ნორვეგიის „რო-
სენბორგზე“ არც შეეჩერდებით, იგი ლამის ჩემპიონთა ლიგის
მუღმივ ბინადრად იქცა და საკვირველია, უეფა რატომ ათამა-
შებს ამ საკმაოდ სიმპათიურ გუნდს შესარჩევ ეტაპზე.

კიდევ რა მოხდა? ისრაელის წარმომადგენელი ბობოლეში გა-
ერია, ჰაიფას „მაკაბიმ“ ავსტრიული „შტურმი“ ისე დაჩაგრა, რომ
ჩვენებურ დათო მუჯირს ერთხელაც არ გადაჰყრია.

და რა არ მოხდა...

კახა კალაძის „მილანი“ ჩეხურმა „ლიბერეცმა“ მაინც ვერ გაა-
გლო, ხოლო დონეცკის „შახტარმა“ ზედიზედ მეორედ ვერ უწია
ჯგუფურ ეტაპს, თუმცა შანსი კი ჰქონდა — ნევიო სკალას
გუნდისთვის ლიგის კარი სულ რაღაც 10 წუთში დაიხურა. ვერ

ბრიუკელი რენე ლანჯი დონეცკელებს, ისაკ ოკორონკოსა და
სერგეი პოპოვს ალუღვა

REUTERS



ყოფილან დონეცკელი მეშახტეები კარგი დამრტყმელები, ხუთი
პენალტიდან მხოლოდ ერთი გაიტანეს ბელგიელთა კარში და
ლიგაშიც „ბრიუკე“ გაძვრა.

ერთი სიტყვით, საკვალიფიკაციო მატჩებმა ჩემპიონთა ლიგას
ელფერი თუ არა, ინტრიგა და დამაბულობა ნამდვილად შესძინა.
აბა, ვინ იფიქრებდა, გლაზგოს „სელტიკი“ თუ...

ლიგა ლიგად და ქართველებს რა? საქმაგო გუნდები ჩვენც
გვყავს — კახა კალაძის „მილანი“ და გოგა გახოკიძის „ჰსე ეინდჰ
ოენი“. დანარჩენი სექტემბრიდან გამოჩნდება.

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი

ლიბერეც (ჩეხეთი) 2:1 **მილანი** (იტალია) (0:1)
0:1 ინაბი (20), 1:1 სლეპიკა (46), 2:1 ლანგერი (88)

შტურმი (ავსტრია) 3:3 **მაკაბი** (ჰაიფა, ისრაელი) (0:2)
1:0 ბონარი (11), 1:1 როსო (26), 2:1 საბიჩი (57), 3:1 ნოიკორნერი (73), 3:2
კიხი (77), 3:3 ბადირი (90)

პაპ (საბერძნეთი) 1:0 **აპომელი** (კვიპროსი) (3:2)
1:0 მ. რატი (58)

ბრიუკი (ბელგია) 1:1 დ. (პენ. 4:1, 1:1) **შახტარი** (უკრაინა) (1:1)
0:1 ვოროზი (13), 1:1 ნ. ჩეი (75)

დინამო (უკრაინა) 1:0 **ლვოვსკი** (ბულგარეთი) (1:0)
1:0 ჩერნატი (41)

ნიშპასლი (ინგლისი) 4:0 **შელეფენიჩარი** (ბოსნია) (1:0)
1:0 დაირი (23), 2:0 ლუა ლუა (37), 3:0 ვიანა (74), 4:0 შირერი (80)

ლოკომოტივი (რუსეთი) 3:3 **ბრატცერი** (ავსტრია) (2:0)
1:0 იგნაშვილი (6), 2:0 ვესევი (32), 2:1 ნაუმოსკი (37), 3:1 პარტმანი (45კ.),
3:2 ბაზმა (48), 3:3 აუფაუზერი (63)

ბრონდბიუ (დანია) 2:3 **როსენბორგი** (ნორვეგია) (0:1)
0:1, 0:2 ფ. იონსენი (29, 62), 0:3 ბრატბაი (78), 1:3 მ. იონსენი (80), 2:3
მადს იორგენსენი (83)

გაზელი (შვეიცარია) 2:0 **სელტიკი** (შოტლანდია) (1:3)
1:0 ხიმენესი (8), 2:0 მ. იაკინი (22)

ლვოვია (პოლონეთი) 0:1 **პარსკლონა** (ესპანეთი) (0:3)
0:1 მენდიეტა (68მ)

ოსერი (საფრანგეთი) 0:0 **პოპოვიშტა** (პორტუგალია) (1:0)

ფენერბაჰჩე (თურქეთი) 0:2 **ვიიენორდი** (პოლანდია) (0:1)
0:1 ონი (48), 0:2 ბუფელი (89)

სპარტა (ჩეხეთი) 4:2 **პენკი** (ბელგია) (0:2)
0:1 დაგანო (25), 1:1 პობორსკი (56), 1:2 სონი (57), 2:2, 3:2 იაროშკი (59,
64), 4:2 მარეზი (84)

ბაიერნი (გერმანია) 3:1 **პარტიზანი** (იუგოსლავია) (3:0)
1:0 ბალაი (26), 2:0 ელბერი (71), 2:1 ჩაკარი (72), 3:1 სალიპამიჯიჩი (74მ)

ინტერი (იტალია) 2:0 **სკორტინი** (პორტუგალია) (0:0)
1:0 დი ბიავო (32), 2:0 რეკობა (44)

მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) 5:0 **ზალაგერსკი** (უნგრეთი) (0:1)
1:0 ვან ნისტელროი (6), 2:0 ბუქი (15), 3:0 სეიულუზი (21), 4:0 ვან ნისტელროი
(76მ), 5:0 სოლსკიერი (84)

მკვდარი გაბუა, გადასარეში ბრედ პიტი და ორი პარიზი

ვაჟუნა ქალია



1995 წლის 7 ივნისი კარდიფი, უელსი. „არმზ პარკი“. ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი უელსი — საქართველო 0:1.


9 ივნისის „სარბიელიდან“ მატჩის სტენოგრამა: 29 წთ: ჯონსმა წაქცეულ ყაველაშვილს ფეხი დაუნდობლად ჩაართვა, უელსელი გაამევეს, ქართველი საკაცით გაიტანეს.

8 ივნისის „თაიშვიდან“: ჯონსთან ერთად მოედნიდან უელსის უკანასკნელი იმედი კავიდა.

8 ივნისის „ინდიენდენტადან“: ჯონსმა კიდევ ერთი სირცხვილი აჭამა უელსს. ეს კაცი პირველად დეკემბერში ენახეთ და მას შემდეგ ველოდებით, როდის გააკლებენ მოედნიდან. უელსის ახალმა ვარსკვლავმა ბორთუდ ჩაართვა ფეხი ყაველაშვილს. მის სასარგებლოდ მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ მოედანი უღაპარაოდ დატოვა. ეს სეზონი ჯონსმა ისევე დაასრულა, როგორც იქცეოდა: ერთხელ რეპორტიორს ცხვირზე უკბინა, მერე კი კვინი კივანს უპირებდა ცემას, რის გამოც ფეხბურთის ასოციაციამ დააჯარიმა.

8 ივნისის „გარდიანიდან“: ვინი ჯონსმა კარიერაში მე-9 წითელი ბარათი მიიღო. მან შეარცხვინა ქვეყანა, რომელმაც იშვილა. ჯონსის აწვარდაცვლილი ბაბუა ყოფილი უელსელი იყო და მაიკ სმიტმაც ამიტომ მიიწვია ნაკრებში.


1965 წლის 5 იანვარი. პერტფორდშირი, ინგლისი. სამშობიარო. ქვეყანას მოეკლინა ვინსენტ პიტერ ჯონსი. ბიჭი ინგლისშივე გაიზარდა და ფეხბურთელად ჩამოყალიბდა. 1986 წელს ნონ-ლივის „უილდსტოუნინიდან“ ნამდვილ გუნდში — „უიმბლდონში“ გადავიდა, სადაც სადებიუტო შეხვედრაში „ნოტიხემფ ფორესტთან“ პენალტი ააცილა (ნეტავ დებიუტანტს პენალტი რომელმაც ჭკუთათამოფეხლმა დაარტყევინა) და მეტოქემ 3:2 მოიგო. ერთი კვირის შემდეგ ჯონსი კვლავ გამოჩნდა მოედანზე. ამჯერად მან შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა და, ვინაიდან მეტოქე „მანჩესტერ იუნაიტედი“ ვახლდათ, ინგლისური ცის კაბადონს ახალი ვარსკვლავი მოეკლინა. ჯონსი ვახდა ნახევარმცველი, რომელმაც მთავარი როლი შეასრულა „უიმბლდონის“ მერე ფეხბურთის ასოციაციის თანხის მოპოვებაში და ამ გუნდში თამაშის წლებში ხუთჯერ გაამევეს მოედნიდან.



შერეკილი ვინი ჯონსისა და არანაკლებ შერეკილი, მაგრამ ამ შემთხვევაში საბრალოდ პოლ ვესტონის ფოტო ავერ უკვე წლებია მსოფლიოს ხან ერთ უურუნლოში გამოჩნდება, ხან მეორეში

„უიმბლდონიდან“ ბრიტანული ფეხბურთის ნავიარმა მეორე დივიზიონის „ლიდს იუნაიტედს“ მიაშურა, ზვეით აიყვანა, 1990 წელს კი „შეფილდ იუნაიტედის“ წევრი გახდა. 1992 წელს ჯონსი „ჩელსიში“ გადავიდა, სადაც ორ წელიწადს ითამაშა. 1992-ში „უიმბლდონს“ დაუბრუნდა. 1998 წელს იგი „ქუინზ პარკ რინჯერსის“ მთამამე მწვრთნელი გახდა, 1999 წელს — მსახიობი...
1994 წელი, ნოემბერი. თბილისი, საქართველო. ეროვნული სტადიონი. საქართველო — უელსი 5:0. უელსელთა მწვრთნელი მაიკ სმიტი სავონებელმა და გამოსვალს ეტებს.

ვიდაც ეუბნება, რომ ინგლისური ფეხბურთის აღიარებულ ნავიარს, უკვე 30 წლის ვინი ჯონსს, ბაბუა ჰყავდა უელსელი. სმიტი ჯონსს უელსელობას სთხოვს, ჯონსი თანხმდება და მისთვის სრულიად უცხო ენაზე პიძის სწავლობს. ინტერვიუებში მის პატრიოტიზმს საზღვარი არა აქვს, ხოლო პირველსავე შეხვედრაში, ბულგარეთის ნაკრებიან მკ მარცხდება მეორე შეხვედრა კარდიფში აქვს, საქართველოსთან...
ვინი ჯონსმა უელსის ნაკრების შემადგენლობაში ცხრაჯერ ითამაშა.



— ვინ, თქვენ ცნობილი მსახიობი ხართ, მაგრამ ბევრმა არ იცის, როგორ მოხვდით გადასაღებ მოედანზე.

— თხუთმეტი წელიწადი ფეხბურთს ვთამაშობდი, კინოში კი იღბალმა მიმიყვანა. ინგლისში მცირე სატელევიზიო შოუში მივიღე მონაწილეობა. იმ შოუში გაი რჩის (რეჟისორი, პოპ-ვარსკვლავ მადონას მეუღლე) უუნახივარ და მიმიწვია.

— მანამდე არასდროს ვიცდიდით კინოში მოხვედრა?

— არა.

— ერთი სიტყვით, ფეხბურთის აღარ თამაშობთ. საინტერესოა, სპორტს საერთოდ აღარ უთმობთ დროს?

— არა, მთელი ყურადღება კინოსკენ მაქვს მიმართული.

— კეთილი. თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით გვითხარით, როგორ აღმოჩნდით „ბანქოს, სასმელის და ორი ლუდის“ მსახიობთა შორის. გასაგებია, რომ ვაი რიჩიმ ტელევიზორში დავლანდათ. მერე?

— მერე აგენტს შევხვდი, მაგრამ ფაქტობრივად ყველაფერი გადაწყვეტილი იყო.

— პირველი გადაღების დროს ინერვიულეთ თუ გაერთეთ?

— დიას, დიას, გადაღებებზე ვერთობოდი. არა, თავიდან, ცხადია, ენერვიულობდი, მაგრამ ადრე მალე აუულე. თან სხვა მსახიობები გადასარევიდ იქცეოდნენ.

— შემდეგ კი ითამაშეთ ფილმში „სამოც წამში გამჭრალნი“. ეს უკვე პოლიუდის პროდუქცია იყო, არა? შეადარეთ მისი გადაღება „ბანქო, სასმელი...ს“ გადაღებას.

— აქ მასშტაბი იყო სულ სხვა. ფულიც შეუდარებლად მეტი იყო. მერე, ამ ფილმში გაცილებით კონკრეტულად ვიყავი ჩაკვებული, ჩემი საქმე ზუსტად შევასრულე და კარგადაც გამოვიდა.

— კეთილი, ახლა მორიგ ფილმზე, „გამოვლევავაზე“ (რუსულად თარგმნეს ბოლშოი კუშ) ვილაპარაკოთ. ალბათ, მისი გადაღების დროს უკვე თავდაჯერებული იყავით. „ბანქო, სასმელი...“ ვაი რიჩის რეჟისორობით თქვენი პირველი ფილმი იყო, ეს

მეორე, კაცმა რომ თქვას ისინი ერთმანეთს ჰკავანან, მაგრამ, საინტერესოა, თქვენთვის თუ იყო ამჯერად რაიმე განსხვავებული.

— იცით, ჩვენ ყველანი უფრო თავდაჯერებულნი ვიყავით. გაიც, მეც... და რა თქმა უნდა, ჩემთან იყვნენ ბრედ პიტი, დენის ფარინა — ფეხბურთის დიდი გულშემატკივარიცაა — ბენისიო დელ ტორო. ერთი სიტყვით, კამერის წინ ყველაფერმა გაცილებით იოლად ჩაიარა. თავს გაცილებით კომფორტულად ვგრძობდი, განსაკუთრებით გაისთან ურთიერთობაში. ცოცხალი ხალხი ნერვიულობდა, ვისაც მანამდე არასდროს ეთამაშა. იყო ერთი-ორი ასეთი, მაგრამ მე გაის საფირმო ნიშნად ვგრძობოდი თავს. ჩემი პროფესიონალიზმი რეჟისორს მოსწონდა.

— ამბობენ, რომ თქვენს შორის იყო ბიჭი, რომელიც ქუჩიდან მივიდა, რათა გამათებლად ან ბუშად მოწოდებოდა, რიჩიმ კი შეხედა თუ არა, როლი მისცა.

— კი ოღონდ, „ბანქო, სასმელის...“ გადაღების დროს.

— ვინი, ზემოთაც ვახსენეთ, რომ ვაი რიჩის ეს ორი ფილმი ერთმანეთს ჰკავს თქვენ რაში ხელავთ განსხვავებას?


— მგონი „გამოვლევავა“ უფრო გასაგებია. იცით, „ბანქო, სასმელი...“ ჩვენ თვითონ ორჯერ ნახვის შემდეგ გავიგეთ. მერე „გამოვლევავა“ გასართობია, სასაცილოა. მართალია გაის არ უნდოდა ფილმი სასაცილო რომ გამოსვლიდა, მაგრამ ძალიან სასაცილო გამოვიდა.

— თქვენ პიტი და დელ ტორო ახსენეთ. მათთან ერთად მუშაობა, ალბათ, ძალიან საინტერესო იყო, არა?

— თუ ერთად გვიწევდა გადაღებაზე მისვლა ბანქოს და ათას რაღაცას ვთამაშობდით. დელ ტორო გადასარევი ბიჭია. პიტიც ასეთია.

— შემდეგ ვინ ტრავოლტასთან ითამაშეთ.

— დიას, „სურდფიში“. იქ ტრავოლტას მარჯვენა ხელი ვარ და ბანკიდან ცსუს დიდი ფონდის მოპარვას ვცდილობთ. ყველაფერს კომპიუტერთი ვაკეთებთ. ვითამა-



რეპეტიციაზე ნიკოლას კეიჯი (შუაში) და რობერტ დიუვალი (მარჯვნივ) ვინი ჯონსს და კომპანიას ყველაფერს დაწვრილებით ასწავლიდნენ



ჯოჯოს ამბები

შე მცირებოუჯეტიან ფილმშიც — „ღამე ოქროს არწივში“. მისი გადაღება სულ მილიონი დოლარი დაჯდა. ისტორია ერთ ღამეში ვითარდება, ღოს ანჯელესის ცენტრში, სასტუმრო „ოქროს არწივში“. მე მყავს რამდენიმე გოგო, რომლებიც სასტუმროს წინ ჩემთვის მუშაობენ...

— და მართალია, რომ ტომ კრუზთან ერთად აპირებთ რაღაცის გადაღებას?

— ტომ კრუზს ცხოვრებაში არ შეეხვედრივარ.

— მაშ, ახლა, კინოს მიყვარულათვის საინტერესო მოკლე კითხვებს დაგისვამ თქვენი საყვარელი ფილმი...

— მიყვარს ფილმები მაფიაზე, ვესტერნებიც, მაგალითად „კარგი, ცუდი და საზიზღარი“, კლინტ ისტუულისას ყველაფერს ვყილულობ. მსახიობებიდან დე ნირო მიყვარს.

— რომელ ლუდს სვამთ?

— ლუდს საერთოდ არ ვსვამ. ღვინო მიყვარს. ლუდს ფეხბურთელობისას ვსვამდი ენერჯისი ალსადგენად. დღესაც რომ ვსვა სხვა ყოფილი ფეხბურთელების მსგავსად ღიბი დამეღება.

— კეთილი. მომავალში რას აპირებთ, ისევ უხეში განვსტერი ბიჭები უნდა ითამაშოთ თუ რომანტიკულ კომედიებზეც გადახვალთ?

— იცით, მქონდა რამდენიმე წინადადება მეთამამა ფილმში სასიყვარულო ხასიოთ, ენახოთ.

— გაი რიჩი აღარ გეპატიებოდა?

— არა, გაი უახლოეს მომავალში არაფერს აპირებს.

— ცოტა უსინდისო კითხვა უნდა დაგისვათ. ფეხბურთი უფრო დიდ საიმოვნებას განიჭებდათ თუ...

— ფეხბურთიც მიყვარს და კინოც, მაგრამ ცხოვრებაში ხომ დღევანდელი დღეა მთავარი. მიყვარს ის, რასაც ახლა ვაკეთებ.

— მაშ, სულ ბოლოს... თქვენზე რომ იყოს, სასიყვარულო სცენაში პარტნიორად ვის აირჩევდით? თუ ვნებათ ძველი მსახიობებიდან აირჩევთ.

— ო... რა ვიცი... ალბათ, მერლინ მონროს. ისე კი, ცოლიც მყავს და შვილებიც. ვაჟი აარონი თერთმეტი წლისაა, გოგო, კვილი თხუთმეტის. მეუღლეს ტანია ჰქვია. ასე რომ, მეოჯახე კაცი ვახლავათ.

ტომას ნორმოს, კამერუნის ნაკრების ლეგენდარულ მეკარეს, ყველგან კარგად იცნობენ და პატივს სცემენ. იგი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიის ნაწილია და დღესაც სპორტის ამ სახეობის განვითარებას ემსახურება — სამშობლოს მეკარეებს უზრდის. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ბამაკოში, როდესაც კამერუნის ეროვნული გუნდი მალისთან სათამაშოდ გახლდათ ჩასული, მატჩის დაწყების წინ კამერუნელ გოლკიპერთა მოძღვარს პოლიციელები დაესივნენ და ტანსაცმელი გახადეს. ატყდა ერთი ამბავი. კამერუნელები აღშოთნდნენ, გერმანელი მწვრთნელი ვინფრედ შეფერი გაპყვიროდა, მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდას სცემენო, მალეღმა ძალოვნებმა კი ლეგენდას სხეულის რომელიღაც ნაწილიდან პატარა ნივთი მოხსნეს და თავი დაანებეს. პოლიციელებმა ნივთი ხალხს დაანახვეს, ხალხმა კი სიხარულის ყიჟინა დასცა...

აფრიკის თასის ბოლოსწინა გათამაშებაში სენეგალი, რომელიც დღეს ასე პოპულარული გახდა, შეხვედრის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ნიგერიას 1:0 უგებდა. მაშინ ეს ჯერ კიდევ წარმოუდგენელი ამბავი გახლდათ. ნიგერიელები გაცოფდნენ. და, აი, რა მოხდა: ვიღაც ნიგერიელი უცბად ტრიბუნებიდან მოედანზე გადაეშვა, სენეგალელთა კარამდე თავქუცმოვლევითი სირბილით მივიდა და იქიდან რაღაც ნივთი აიღო. ეს კაცი, ცხადია, ცივილური ნორმების შესაბამისად დასაჯეს. მაგრამ ნიგერიის ნაკრებმა დარჩენილ ათ წუთში ორი გოლი გაიტანა...

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე კენიის ნაკრები ცხრა თვის განმავლობაში ერთხელაც არ დამარცხებულა. ვიმეორებთ, ვინმე სერიოზული კი არა, კენიის ნაკრები. საქმე იქამდე მივიდა, რომ ნიგერიელმა სუპერარწივებმა კენიელებს საკუთარ მოედანზე მუხლების კანკალით დაუწყეს ლოდინი, მაგრამ... სუპერარწივები ქვეყნის საკონსულომ იხსნა. მან, არც მეტი, არც ნაკლები, ვიზა არ მისცა კაცს, რომელსაც კენიაში „დოქტორს“ ეძახდნენ და რომელიც კენიელების ყველა შეხვედრას ესწრებოდა. პოდა, ის შეხვედრა ნიგერიაზე უკვე სუსტ კენიას 3:0 მოუგო...

2000 წელს, კოტ დივუარის ნაკრები აფრიკის თასის გათამაშების მასპინძელი იყო და ამით იმედოცემული, ჩემპიონობას აპირებდა. საამისოდ გუნდის ოფიციალურ წევრად გააფორმეს ქვეყნის ყველაზე პატივცემული ჯადოქარი, მაგრამ... ჯადოქარს რაღაც არ აუწყო და კოტ დივუარის გუნდი უღიმღამოდ გამოვიდა შეჯიბრებაში. ამის გამო, ჩემპიონატის დამთავრებისთანავე ფეხბურთელებმა სამხედრო ბანაკში ამოჰყვეს თავი, აი, ჯადოქარის ასავალ-დასავალი კი...

ცნობისათვის: აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ 2002 წელს მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც ჯადოქრები და ჯოჯოში დახელოვნებული შამანები გუნდებთან ერთად დელეგაციის წევრების სტატუსით ვეღარ იმოგზაურებენ.

პინი ჯონსი



ვილმები:

- „ბანქო, ფული და ორი ლუა“ (1999)
- „60 წამში გამქრალნი“ (2000)
- სუორდფიში (2001)
- გამოგლეჯვა (2001)
- ღამე ოქროს არწივში (2002)
- მინ მაშინ (2002)

კლუბები:

- უიმბლდონი
- შეფილდ იუნაიტედი
- ჩელსი
- უიმბლდონი

სულ 384 მატჩი, 33 გოლი, ერთხელ, თამაშის დაწყებიდან 3 წამში გააფრთხილეს.



პელსინკის თამაშები ეროვნულ, გლობალურ და სალაღობო პრიზმაში



შზია ჯუღელი, დავით ციმაკურიძე და რაფაელ ჩიმიშკიანი


დამსახურა, ოთხმა — ვერცხლისა და ორმა — ბრინჯაოსი. მათგან პირველი ოქროს მედალი მოიპოვა დავით ციმაკურიძემ, რომელიც საერთოდ პირველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონის მედალია თავისუფალ ჭიდაობაში.

საქართველოს სპორტსმენთაგან პელსინკში მეოთხე ოქროს მედალი მოიპოვა რაფაელ ჩიმიშკიანმა, ვინც ძაღლისნობაში მსოფლიოს რეკორდით გაიმარჯვა. ჩვენი სპორტსმენებიდან მესამე ოქროს მედალით გაგვანარა მედეა (შზია) ჯუღელმა, რომელმაც ტანმოვარჯიშეთა გუნდურ შეჯიბრებაში იმარჯვა, ხოლო საგნით ასევე გუნდურ ასპარეზობაში მეორე იყო.

ჯუღელის გარდა ვერცხლის მედლები დამსახურეს კალათბურთელებმა ოთარ ქორტიამ, ნოდარ ჯორჯიკამ და მძლეოსანმა ლევან სანაძემ — 4x100 მეტრზე რბენაში. ნინო ღუმბაძესთან ერთად „ბრინჯაოს პრიზიორად“ დაგვიბრუნდა ასევე მძლეოსნობაში მსოფლიოს რეკორდსმენი ნადეჟდა ხნიკინა-ღვავიშვილი, რომელმაც ამ წარმატებას 100 მეტრზე რბენაში მიადწია. ამასთან, ნახევარფინალში მან ოლიმპიური რეკორდიც დაამყარა.



ავთანდილ გურასაშვილი



პელსინკის XV

ოლიმპიური თამაშებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით ფინეთის დედაქალაქში საზეიმო ღონისძიება გაიმართა. აქ თავი მოიყარეს იმ ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომლებიც ნახევარი საუკუნის წინათ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ეს თარიღი მეტ-ნაკლები მასშტაბურობით აღნიშნეს რუსეთმაც, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებმაც და იმ ქვეყნებმაც, რომელთა სპორტსმენებმაც ოლიმპიურ თამაშებში პირველად სწორედ პელსინკში მიიღეს მონაწილეობა.

საქართველოს სპორტსმენები, რომლებიც მაშინ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გამოდიოდნენ, თავიანთი ოლიმპიური დებიუტის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ოქტომბრის დასაწყისში აღნიშნავენ.

პელსინკში საქართველოს და, საერთოდ, საბჭოთა კავშირის პირველი ჯილდო მოუტანა მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენმა ნინო ღუმბაძემ, რომელმაც ბადროს ტყორცნაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ფინეთის დედაქალაქში საქართველოს სპორტსმენთაგან სამმა ოქროს მედალი

პელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე ერთ ტრადიციას დაედო სათავე, მთ შორის სპორტში ქართველ მამლუქთა თემასაც. ფინეთის დედაქალაქში, მართალია, ყველა ქართველი სპორტსმენი საბჭოთა კავშირის სახელით ასპარეზობდა, მაგრამ მათგან ორი ათლეტი იმ დროს მოსკოვში

თანამედროვე „სტრიკერის“ წინამორბედი ბარბარა როტრაული



გენერალმა მანტოლამ, ბარონმა ერეკ ფრენკელმა და დოქტორმა სავოლაინენმა ასე გაიყვანეს ბარბარა როტრაული სტადიონიდან.





100 მეტრზე მორბენალთაგან ოთხმა კაცმა ერთნაირი შედეგით პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი

ცხოვრობდა და მათი მედლებიც იქაურ ყულაბაში აჩხრიალდა. ესენი იყვნენ მოჭიდავეები არსენ მეოკიშვილი და შალვა ჩინლაძე. მამინ ჰელსინკში საბჭოელთაგან სულ ორმა თავისუფალი სტილის მოჭიდავემ გაიმარჯვა და ორივე ქართველი იყო. ის მეორე სწორედ არსენ მეოკიშვილი გახლდათ, შალვა ჩინლაძემ კი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ამას გარდა, ჰელსინკში ასპარეზობდა წყალბურთელი პეტრე შშენიერაძე. XV თამაშებზე თანაგუნდელებთან ერთად უმედილოდ დარჩა, მაგრამ მომდევნო, მელბურნის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, რომში კი — ვერცხლისა.




ახლად გვერდზე გადავლით „ვიწრო ერთგული ინტერესები“ და XV ოლიმპიურ თამაშებს გლობალურ პრიზმაში გავხედოთ. ფინეთის დედაქალაქში ამ ოლიმპიადის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამართულ ზეიმზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა დოქტორმა ფაკ როგმა ბრძანა: ჰელსინკის თამაშებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ოლიმპიურ მორაობაში. ეს იყო ოლიმპიური მორაობის პირველი საყოველთაო თამაშები, სადაც საფუძველი ჩაეყარა აღმოსავლეთისა და დასავლეთის შერიგებასო.

ამ შერიგებაში თავიანთი წვლილი შექმნიდათ საქართველოს სპორტსმენებს. მართალია, ისინი საბჭოთა დელეგაციის წევრებთან და სხვა სოციალისტური ბანაკის წარმომადგენლებთან ერთად ოლიმპიურ სოფელში განცალკევებით დააბინავეს, მაგრამ შეძლეს გულთბილი ურთიერთობა დაემყარებინათ დასავლელებთან. როგორც საბჭო-

თა დელეგაციის ერთ-ერთი ვეტერანი, მძლეოსანი რევაზ კაპანაძე იხსენებს, იქ სათადარიგოდ წაყვანილი ჩვენი მოჭიდავეები ვახტანგ ბალავაძე და გივი კარტოზია ყოველ დღით დოლ-გარმონით მიეღ სოფელს აღვიბებდნენ. ეს ყველას ამხარულებდა და ახალისებდა, რითაც დასავლეთელთა ყურადღებას იპყრობდნენ. მედეა ჯუღელი იხსენებს, რომ უცხოელი სპორტსმენები გულდია ქართველებს ყოველდღიურად სტუმრობდნენ. ამ მხრივ თურმე ფრა-

არსენ მეოკიშვილისა (მარჯვნივ) და შვედი ბერტილა ანტონსონის ფინალური ორთაბრძოლა



ნგები და ამერიკელები გამოირჩეოდნენ. ქალბატონი მედეა ჯუღელი ფიქრობს, რომ ამ ხალხს არა მხოლოდ ქართველთა სიხალისე და გულთბილობა იზიდავდა, არამედ... ხიზილალაც, რაც საბჭოელებს, სხვა პროლეტებთან ერთად, ლენინგრადიდან ყოველდღე თავზე საყრელად ჩასდიოდათ.

გლობალურ პრიზმაში რაკი საღალბო ეპიზოდს გავხედოთ, ამითვე გავაგრძელებთ: ამ თამაშებზე პირველად გამოჩნდა თანამედროვე „სტრიკერის“ წინამორბედი, ვინმე ბარბარა როტრაუდი. ოღონდ ეს გერმანელი წითური ახალგაზრდა ქალი ტრიბუნიდან სტადიონზე დღევანდელი გადარეული „სტრიკერებივით“ დედამოძილა კი არა, კოჭებამდე თეთრ კაბაში გამოწყობილი გადაეშვა. იგი ოლიმპიადის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე, 70 ათასი მაყურებლის წინ გამოქანდა სარბენ ბილიკზე. პოდიუმზეც აირბინა, მიკროფონს მისწვდა და წარმოთქვა: გამარჯობათ, ქალბატონებო და ბატონებო, მაგრამ დამთავრება არ აცალეს. როგორც მაშინდელი ფინური პრესა იუწყებოდა, „მიხვდნენ, რომ ოლიმპიურ სტადიონზე შემოიჭრა მშვიდობის მტრედის სამოსელში გამოწყობილი წესრიგის დამრღვევი. თვალის დასაშხამებაში იქ გაჩნდნენ გენერალი მანტოლა, თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის გენერალური მდივანი, ბარონი ერიკ ფრენკელი და დოქტორი საუოლანენი, რომლებმაც ბარბარა როტრაუდი სასწრაფოდ გაიყვანეს სტადიონიდან.

ამ სტადიონზე საღალბო ელფერი ჰქონდა 400 მეტრზე მორბენალთა ასპარეზობასაც. იამაიკელებმა ჯორჯ (გვიორე) როდენმა და ჰარი მაკენლიმ ოლიმპიური რეკორდით (45,9) გადაკვეთეს ფინიშის ხაზი. მათ შორის პირველობა როდენს მიაკუთვნეს. მიუღ ამ ისტორიაში უცნაური ის იყო,

რომ როდენი ფეხშიშველა დარბოდა და ავტორგაფებსაც ასევე ფეხბემაშვერილი არი-გებდა. ფოტორეპორტიორები, ცხადია, არ თვლემდნენ და როდენის ფეხებს გაზეთუ-ბის მთელ გვერდებს უთმობდნენ. ამ დროს ჩრდილში იდგა მისი ვერცხლის პრიზიორი თანაგუნდელი მაკენლი, რომელსაც „ოქრო“, როგორც ვთქვით, ფოტოფინიშმა დააკარ-გვინა. მაკენლის უდიდობა მხოლოდ ამ ამბით როდი შემოიფარგლა. იგი 100 მეტრზეც ასპარეზობდა...

ვინც მძლეოსნობაში ოდნავ მაინც გარკვე-ულა, მან იცის, რომ 100 და 400 მეტრზე რბენა ჩრდილო და სამხრეთ პოლუსებივით შეუთავსებელ-დამორბეული დისტანციანებია. და მაინც, მაკენლიმ ორივე დისტანციაზე ირბინა. ირბინა და სპრინტშიც „ვერცხლი“ მოიპოვა. თანაც, „ოქროს“ ბედი აქაც ფოტოფინიშმა გადაწყვიტა. ამასთან, ამგვარი ვერდიქტის გამოტანა სპრინტში უფრო ძნელი აღმოჩნდა, რადგან ოთხმა კაცმა ერთნაირი

შედეგი — 10,4 აჩვენა, ჩემპიონად კი ამერიკელი ლინდი რემიჯინო გამოცხადდა. ოლიმპიური თამაშების ისტორიიდან მსგავსს ვერაფერს ვიხსენებთ. ვერ ვიხსე-ნებთ, რომ 100 მეტრზე ოთხ კაცს ერთნაირი შედეგი ეჩვენებინოს. ვერც იმას ვიხსენებთ, რომ ერთ კაცს ერთ ოლიმპიადაზე ორი ოქროს მედალი ფოტოფინიშის „წყალობით“ დაეკარგოს. არც ერთი კაცის მიერ შეუთავსებელ დისტანციებზე (100 და 400 მ) მედლების მოპოვება გვახსენდება.



ჰელსინკის თამაშებზე დიდი ყურა-დღება მიიპყრო ახალგაზრდა დანიელმა ცხენოსანმა ქალმა ლის ჰარტელმა. ფი-ნეთის დედაქალაქში, ოლიმპიური თამა-შების ისტორიაში პირველად მხედარი ქა-ლები მამაკაცებთან ერთად იბრძოდნენ გა-მარჯვებისთვის. ლისმა ცხენის გაწვრთ-ნაში კაცებს ვერცხლის მე-დალი არ დაანება. ეს თავის-თავად უკვე ღირსსახსოვარი ამბავი იყო, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო სხვა რამ გახლდათ: როცა 20 წლის იყო და მეორე შვილს ელო-და, ლისი პოლიომიელიტით დაავადდა. ჰელსინკში ასპა-რეზობისას მას ფეხი კვლავ დადამლაკვებული ჰქონდა. მი-უხედავად ამისა, დიდი ოლი-მპიური პრიზის გათამაშება-ში, რომელშიც 27 ცხენოსანი გმობიოდა, მხოლოდ ერთს ჩამორჩა.

ლოგიკის თანახმად, ჰელ-სინკში უდიდესი ყურადღე-ბა უნდა მიეპყრო „5-5 მე-ტრის“ კლასში გამარჯვებუ-ლი ამერიკელი ეკიპაჟის წევრს ერნსტ ჩეინს, რომე-ლმაც ამ წარმატებას... ნო-ბელის პრემიის ლაურეატის მანტიით „გამოწყობილმა“ მიაღწია. მსოფლიოს უდიდე-სი მეცნიერისგან, ეტყობა, ამ წარმატებას არავინ ელოდა. ამიტომ აფრო-



ერნსტ ჩეინი

სნისა და მეცნიერის ერთმანეთთან გაი-გვიგება აზრადაც არ მოსვლიათ. არც ჩეინს მოუღია პირი, მე ვარო. უხმაუროდ გა-იმარჯვა და ასევე გაუმეზავრა შინისკენ, სადაც თავისი სინჯარებიანი ლაბორა-ტორია ელოდა.


„5,5 მეტრის“ მსგავსად, ჰელსინკშივე მოხდა კიდევ ერთი, „ფინის“ კლასის ოლი-მპიური ნათლობა. რაკი ამგვარი აფრები-ანი ნავით საერთოდ პირველი შეჯიბრება სწორედ ფინეთში გაიმართა, ამ კლასს „ფინი“ უწოდეს.

აფროსანთა შეჯიბრება იმითაც იყო საი-ნტერესო, რომ აქ მესამედ გახდა ოლიმპი-ური ჩემპიონი დანიის მომავალი მეფე ოლაფ V, რომელიც „დრაკონის“ კლასში გამოდი-ოდა. ჩეინისა არ იყოს, არც მას მოუერთავს ყვირილი, ეს მე ვარ, დანიის კრონპრინციო და პოსეიდონის სამეფოს ტურ ტურვალდ-სენის ფსევდონიმით შეება.

ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებთან კი-დევე ბევრი ისტორიული ამბავია დაკავში-რებული. მათ შორის ისიც, რომ სწორედ ფინეთის დედაქალაქში დაედო სათავე თა-ნამედროვე ოლიმპიური მონეტების გამოშვებას, რაც 500-მარკიანი ნომინალის ვერცხლის ფული გახლდათ. ამგვარად, XV ოლიმპიადაზე ერთ-ერთი ანტიკური ტრა-დიცია აღორძინდა.

ამ ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირე-ბით კიდევ ბევრი საინტერესო რამ შეიძ-ლება ითქვას, მაგრამ ვამთავრებთ იმით, რითაც იგი დამთავრდა, უფრო სწორად, რითაც უნდა დასრულებულიყო — ეს ოლი-მპიური თამაშები დღემდე ოფიციალურად დახურულად არ გამოცხადებულა.

საქმე ისაა, რომ სოკ-ის პრეზიდენტს ზიგფრიდ ელსტრიომს თამაშების დახუ-რვის საზეიმო ცერემონიაზე წარმოსა-თქმელი სიტყვა სასტუმროში დარჩა. მი-უხედავად ამისა, მან ზეპირად ბრწყინვა-ლე სიტყვა წარმოთქვა, მაგრამ დასა-სრულს დაავიწყდა ტრადიციული ფრა-ზის თქმა: „XV ოლიმპიურ თამაშებს და-ხურულად ვაცხადებ“. მეორე დღეს გაზე-თები წერდნენ, ეს თამაშები არ დახურუ-ლა და ამიტომაც უკვდავიაო.



400 მეტრზე მორბენალთა ფინიში და ჯორჯ როდენის ფეხები



ირლანდია 2002. ღვანავა: სვიზ სომხოვი, ქვიციანი, გარი ბერი, იან პარტი, სვიზ უინანი.
სხლავა: როზი ქინი, მუხომბანი, გარი ქინი, გარი ქელი, მუხომბანი, ღვანავა ღვანავა.

telCard

adidas

ARA

OSH



იტალია 2002. ფანანა: პაოლო მაღლინი, კარისტინე ვიარი, კარისტინე კანუჩი, პასკენდრო ნანტა, ჯანლუიჯი გუფონი

სხედან: კარისტინე ძანატი, ფრანჩესკო ტომი ფაბიო კანავარი, დანიანი ტომაზი, ჯანლუკა ძამბირიტი.



რივალო
ბრაზილია, შილანი